აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა



აჭარის მთავრობის საქმიანობის ანგარიში

2024-2025

შესავალი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები ემსახურება აჭარის მდგრად და უსაფრთხო განვითარებას, ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლების დაცვას, ადამიანური კაპიტალის, როგორც ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორის გაძლიერებას, განათლების, ღირსეული სოციალური უზრუნველყოფისა და ხარისხიანი ჯანდაცვის სისტემის განვითარებას, ადამიანის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას.

ეკონომიკური მაჩვენებლები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა უპრეცედენტო ეკონომიკურ ზრდას განიცდის. ბოლო წლებში სტაბილურობისა და უწყვეტი მშვიდობის პირობებში, სწორად დაგეგმილმა და განხორციელებულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ რეგიონს სწრაფი ეკონომიკური განვითარება მოუტანა. აჭარის ეკონომიკის ზრდა განსაკუთრებული მდგრადობით გამოირჩევა და ეს ზრდა დაკავშირებულია ეფექტურ ეკონომიკურ პოლიტიკასთან.

არსებული პროგნოზით, 2025-2028 წლებში აჭარის ეკონომიკის ორნიშნა ზრდა შენარჩუნდება და მისი მთლიანი შიდა პროდუქტი (მიმდინარე ფასებში, ლარში გამოხატული) წლიურად საშუალოდ 10-11%-ის ფარგლებში გაიზრდება, რაც იმას ნიშნავს, რომ 2028 წლისთვის აჭარის მთლიანი შიდა

პროდუქტი თითქმის გაორმაგდება (2022 წელთან შედარებით) და დაახლოებით 14 მილიარდ ლარს მიაღწევს.

აჭარაში შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი 2012 წელთან შედარებით (2,5 მილიარდი ლარი) 2023 წლისთვის გაზრდილია 208%-ით და 7.7 მილიარდ ლარს შეადგენს, ზრდა წინა წელთან შედარებით 12% (აჭარის 2024 წლის მშპ-ს მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება 2025 წლის დეკემბერში).

2013-2023 წლებში, აჭარის ნომინალური მშპ-ს საშუალოწლიური ზრდის ტემპი 11%-ს შეადგენდა. ამავე პერიოდში, მნიშვნელოვანი ზრდა ფიქსირდება ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორში: მშენებლობის სექტორი - 253% (საშუალო წლიური ზრდა 17%), უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები - 139% (საშუალო წლიური ზრდა 9%), განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები - 325% (საშუალო წლიური ზრდა 23%).

მთლიანი შიდა პროდუქტი: აჭარის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობამ (მიმდინარე ფასებში), საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბოლო მონაცემებით, 7.7 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 12%-ით აღემატება. მთლიან შიდა პროდუქტში ყველაზე მაღალი წილით გამოირჩევა მშენებლობის (14%), უძრავი ქონების (14%), ვაჭრობის (10%) სექტორები.

ბიზნეს სექტორი: ბიზნეს სექტორის 2025 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, აჭარაში ბრუნვის მაჩვენებელმა 2.8 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 21%-ით აღემატება, პროდუქციის გამოშვება 1.6 მილიარდი ლარია, ზრდა 8%-ია, ხოლო დასაქმება 6%-ით არის გაზრდილი.

2024 წლის I კვარტლის მონაცემებით, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებაში, ბრუნვა (2.3 მლრდ ლარი) გაზრდილია 5%-ით, გამოშვება (1.4 მლრდ ლარი) - 7%-ით, ხოლო დასაქმება - 3%-ით.

2024 წლის II კვარტლის მონაცემებით, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებაში, ბრუნვა (3.1 მლრდ ლარი) გაზრდილია 9%-ით, გამოშვება (1.7 მლრდ ლარი) - 0.4%-ით, ხოლო დასაქმება - 0.6%-ით.

2024 წლის III კვარტლის მონაცემებით, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებაში, ბრუნვა (3.3 მლრდ ლარი) გაზრდილია 12%-ით, გამოშვება (1.9 მლრდ ლარი) - 5%-ით, ხოლო დასაქმება - 2%-ით.

2024 წლის IV კვარტლის მონაცემებით, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებაში, ბრუნვა (3.3 მლრდ ლარი) გაზრდილია 15%-ით, გამოშვება (1.9 მლრდ ლარი) – 4%-ით, ხოლო დასაქმება - 5%-ით.

საფინანსო პოლიტიკა

2020-2024 წლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის შემოსულობების საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელი 24%-ია.

2024 წლის აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა 708 750 000 ლარით განისაზღვრა. ფაქტობრივი შესრულება 650 587 1 000 ლარს, გეგმის 91,8 პროცენტს შეადგენს.

2024 წლის აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა 596 100 000 ლარით განისაზღვრა. ფაქტობრივი შესრულება 627 751 600 ლარს, გეგმის 105,3 პროცენტს შეადგენს.

აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტის 2024 წლის შემოსავლების უდიდესი ნაწილი, საერთო შემოსავლების 97,1 პროცენტი მოდის გადასახადებზე, რომელიც მოიცავს მხოლოდ საშემოსავლო გადასახადს. 2024 წლის საშემოსავლო გადასახადის გეგმა 575 000 000 ლარით განისაზღვრა, ფაქტობრივი შესრულება 609 385 600 ლარს, გეგმის 106 %-ს შეადგენს.

აჭარის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებები 908 520 000 ლარს შეადგენს. 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელები, 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით - 143 819 800 ლარით, ხოლო შემოსულობები - 156 570 000 ლარით გაიზარდა.

2025 წლის აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების პირველი კვარტლის გეგმა 185 202 400 ლარით განისაზღვრა, ფაქტობრივი შესრულება 166 381 800 ლარს, გეგმის 89,8 %-ს შეადგენს.

აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტის 2025 წლის I კვარტლის შემოსავლების უდიდესი ნაწილი, საერთო შემოსავლების 98,1 %, მოდის გადასახადებზე, რომელიც მოიცავს მხოლოდ საშემოსავლო გადასახადს. საშემოსავლო გადასახადის გეგმა 150 000 000 ლარით განისაზღვრა, ფაქტობრივი შესრულება 162 495 200 ლარს, გეგმის 108,3 %-ს შეადგენს.

ინფრასტრუქტურული პროექტები

დასკვნით ეტაპზეა მაღალმთიანი აჭარის გაზიფიცირება - გაზსადენი მოიცავს ბათუმი-გოდერძის უღელტეხილის მონაკვეთს (დაახლოებით 120 კმ.), საიდანაც უკვე დასრულებულია ბათუმი-ხულოსა და გოდერძის უღელტეხილი - კურორტ „გოდერძის" მონაკვეთები. პროექტის ჯამური სამშენებლო ღირებულება 52 864 531 ლარს შეადგენს. ამ ეტაპზე სრულდება პროექტის დარჩენილი ნაწილი - ხულო-გოდერძის გზის გასწვრივ გაზის მილების მოწყობა, დაახლოებით 10 კმ, რისთვისაც 2025 წელს ბიუჯეტში 3 268 000 ლარია გათვალისწინებული.

პროექტის პირველ ეტაპზე სალიბაურიდან-ხიჭაურამდე 63 კმ. მონაკვეთზე გაზსადენის მილების მონტაჟი განხორციელდა, რაც 11 900 აბონენტის გაზიფიცირებას მოიცავს. მეორე ეტაპი გულისხმობს ხიჭაურიდან გოდერძის უღელტეხილამდე 54 კმ საშუალო წნევიანი გაზსადენის მშენებლობას, რითაც დამატებით კიდევ **15 200 აბონენტის გაზიფიცირება მოხდება.** მიმდინარეობს სოფლების დაქსელვის სამუშაოები.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ამ დროისთვის გაზის ცენტრალური მილი შეყვანილია მაჭახელას თემის 4 სოფელში, დაქსელვა მიმდინარეობს 5 სოფელში. ბუნებრივი აირით სარგებლობს მუნიციპალიტეტის 48 სოფელი.

ქედის მუნიციპალიტეტში 64 სოფლიდან დაქსელვა მიმდინარეობს 5 სოფელში, ნებართვა გაცემულია 10 სოფელში, ამ დროისთვის დაქსელილია 7 სოფელი: გულები, ხუნკუდა, ქვედა ზენდიდი, ზედა ზენდიდი, სოფელი ქედა და დაბა ქედა. სულ ბუნებრივი აირით სარგებლობს 710 აბონენტი.

შუახევის მუნიციპალიტეტში სულ 54 სოფელია. გაზიფიცირების დაქსელვითი სამუშაოები სოფელ ტაკიძეებში (ხიჭაურის დასახლებაში) დასრულდა და მიმდინარეობს ოჯახებში გაზის შეყვანა.

ხულოს მუნიციპალიტეტის დაბაში დაიწყო გაზიფიცირების სამუშაოები.

„ოცნების ქალაქი“ - 2024 წელს დასრულდა ე.წ. „ოცნების ქალაქის" მშენებლობის პირველი ეტაპი. ტერიტორიაზე სამი 12 სართულიანი საცხოვრებელი ბინა აშენდა. 582 ოჯახს ბინა საკუთრებაში უკვე გადაეცა.

აჭარის მთავრობამ, საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, „ოცნების ქალაქის“ ტერიტორიაზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების პარალელურად, პროექტის მეორე ეტაპის განხორციელება დაიწყო. ამ ეტაპზე მიმდინარეობს საძირკველის მოწყობის სამუშაოები. პროექტის ახალი ეტაპი მთლიანი ტერიტორიის დაგეგმარებას, სწორ ურბანულ განვითარებას, საგანმანათლებლო, საცხოვრებელი და რეკრეაციული სივრცეების შექმნას გულისხმობს. „ოცნების ქალაქში“ დამატებით მრავალბინიანი

საცხოვრებელი სახლები (1077 ბინა), საჯარო სკოლა და საბავშვო ბაღი აშენდება. მეორე ეტაპის ფარგლებში, ტერიტორიაზე საპარკინგე ზონა, საბავშვო მოედანი, საფეხმავლო და ველობილიკები და გარე განათებები მოეწყობა. საცხოვრებელი სახლები გაზმომარაგების, წყლისა და წყალარინების სისტემებით აღიჭურვება. მოქალაქეებს ადგილზე, ასევე, სხვადასხვა სერვისზე წვდომის შესაძლებლობა ექნებათ.

„ოცნების ქალაქის" მეორე ეტაპის მშენებლობისთვის ჯამში 132 580 552 ლარი დაიხარჯა, მხოლოდ 2025 წლის ბიუჯეტით კი 30 მილიონი ლარია გათვალისწინებული. „ოცნების ქალაქის" მეორე ეტაპის მშენებლობა, ხელშეკრულების ფარგლებში, 2028 წლის თებერვალში დასრულდება.

აჭარის მყარი ნარჩენების მართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურში, საქართველოში პირველი, თანამედროვე სტანდარტების ნარჩენების მართვის ობიექტის მშენებლობა დასრულდა. 2023 წელს ობიექტი ექსპლუატაციაში შევიდა. საერთაშორისო ტენდერის ფარგლებში, ნაგავსაყრელის ექსპლუატაციისთვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის შეძენა განხორციელდა (15 ტექნიკა და 8 კონტეინერი). პროექტის მეორე ფაზის ბიუჯეტი დაახლოებით 60 მილიონი ევროა.

ამ ეტაპზე ბათუმსა და ქობულეთში არსებული 3 არასტანდარტული ნაგავსაყრელის კონსერვაციის პროცედურები უკვე მიმდინარეობს.

საერთაშორისო ტენდერის შედეგად, შეირჩა საერთაშორისო კონსულტანტი - ესპანური კომპანია IDOM CONSULTING, ENGINEERING, ARCHITECTURE, S.A.U. კომპანიამ დახურვის დეტალური დიზაინი უნდა შექმნას, ასევე უნდა მოამზადოს სატენდერო დოკუმენტაცია და დახურვის პროცედურებს ზედამხედველობა გაუწიოს. EBRD-ის შესყიდვის წესების დაცვით, საერთაშორისო ტენდერი 2025 წელს გამოცხადდება, რომლითაც მყარი ნარჩენების მექანიკურ-ბიოლოგიური დამუშავების ობიექტის მშენებელი კომპანია შეირჩევა.

პროექტის ფარგლებში, 2025 წელს, ხელვაჩაურის სამრეწველო ზონაში, 1,3 ჰექტარზე, ნარჩენების შუალედური გადამტვირთი სადგურის მშენებლობის საერთაშორისო ტენდერის გამოცხადება იგეგმება. ობიექტის მაქსიმალური დატვირთვა წლიურად, დაახლოებით 207 ათასი ტონა იქნება, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური ნარჩენის მიღება და გადამუშავება განხორციელდება.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროექტი

გერმანია-საქართველოს შორის ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში და ევროკავშირის მხარდაჭერით, აჭარის მუნიციპალიტეტებში თანამედროვე სტანდარტების წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურა იქმნება.

პროექტის დასრულების შემდეგ, აჭარის 39 სოფელი და დაბები (9000 აბონენტი/37 800 მოსახლე) 24 საათიანი, უწყვეტი წყალმომარაგებით და

გამართული წყალარინების სისტემებით ისარგებლებს. პროექტის ბიუჯეტი 100 მილიონ ევროზე მეტია. 2024 წელს, პროექტის ფარგლებში, წყალმომარაგების ქსელების მოწყობა დაიწყო აჭარის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში:

ქობულეთის მუნიციპალიტეტი - ცეცხლაური, ჯიხანჯური, ოჩხამური, სოფელ კვირიკე.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი - კირნათი-კობალეთი.

ქედის მუნიციპალიტეტი - უჩხითი და ქოსოფელი.

შუახევის მუნიციპალიტეტი - გომარდული და ბრილი.

ხულოს მუნიციპალიტეტი - დაბა ხულო, დიოკნისი, ქედლები, ოქრუაშვილები.

2025 წელს, პროექტის ფარგლებში, მიმდინარეობს და დაგეგმილია სამუშაოები მუნიციპალიტეტების სხვადასხვა სოფელში.

2024 წელს კურორტ „გოდერძიზე“ მოეწყო წყალმომარაგების ქსელები. დასრულდა წყალარინების გამწმენდი ნაგებობის და 500 m^3 მოცულობის წყლის რეზერვუარის, წყალმომარაგების და წყალარინების შიდა გამანაწილებელი სისტემების მშენებლობა. ამ ეტაპზე გამოცხადებულია ტენდერი, რომელიც წყლის 2 სათავე ნაგებობის, 500 m^3 მოცულობის რეზერვუარის, წყლის გამწმენდი ნაგებობის და წყალმომარაგების მაგისტრალური ქსელის მშენებლობას ითვალისწინებს.

მაღალმთიანი აჭარის განვითარება

ინტენსიურად მიმდინარეობს სამთო-სათხილამურო **კურორტ „გოდერძის“** განვითარება. ამ დროისთვის კურორტზე 29 მასშტაბური საინვესტიციო პროექტი ხორციელდება, რომლის საინვესტიციო ღირებულება 250 მლნ ლარს აღემატება. შედეგად კურორტს 1500 ახალი სამუშაო ადგილი და 1000 განთავსების ადგილი ექნება.

2024 წელს დაიწყო და მიმდინარეობს „გოდერძის“ გამოფენა-ბაზრობის, ავტოსადგურისა და ავტოპარკინგის მშენებლობა, ასევე თოვლსატკეპნი მანქანების ანგარის მოწყობა. მშენებლობის 2025 წლის ბიუჯეტი 4 864 200 ლარს შეადგენს.

მიმდინარეობს საბაგირო ხაზის მშენებლობის პროექტი, რაც ბიუჯეტიდან 271 800 ლარით ფინანსდება. 2024 წელს დასრულდა წინა საპროექტო კვლევა.

მიმდინარეობს **გომარდულის** სარეკრეაციო ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება. პროექტი გომარდულის ტერიტორიაზე ველო და საფეხმავლო ბილიკების მოწყობას ითვალისწინებს. 2024 წელს დასრულდა წინა საპროექტო კვლევა. პროექტის ბიუჯეტი 100 000 ლარს შეადგენს.

მიმდინარეობს **ხულო-თაგოს საბაგირო გზის** რეაბილიტაციის პროექტი. უკვე დაწყებულია ბაზრის კვლევა. პროექტის ბიუჯეტი 200 000 ლარს შეადგენს.

დაგეგმილია **ჩირუხის მთის** ტურისტულ-სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის

განვითარება. პროექტი ითვალისწინებს მრავალფუნქციური ობიექტის მშენებლობას, სადაც ტურისტულ-საინფორმაციო ცენტრი განთავსდება. პროექტის ბიუჯეტი 100 000 ლარს შეადგენს.

„გოდერძის“ მიმდებარე ტერიტორიების განვითარების ტექნიკურ-ეკონომიკური დოკუმენტი მომზადდა, რაც კურორტზე საინვესტიციო პროცესების გაძლიერებას შეუწყობს ხელს. განხორციელდა **„მწვანე ტბის“** რეაბილიტაცია. ტერიტორიაზე საპიკნიკე და დასასვენებელი ადგილები, ასევე ბილიკები მოეწყო. დასრულდა ღონისძიების ჩასატარებელი სივრცის, საფეხბურთო სტადიონისა და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობა. „მწვანე ტბის“ რეაბილიტაცია 2 მილიონი ლარით დაფინანსდა. 2024 წელს დასრულდა გოდერძის და მწვანე ტბის ელექტრომომარაგების პროექტი, რომლის ღირებულება 1 540 000 ლარს შეადგენს.

მიმდინარეობს **კურორტ ბეშუმის** განვითარება, რაც ტერიტორიის ურბანული პოლიტიკის შექმნას და სამომავლოდ ბეშუმის ეფექტურ განვითარებას ითვალისწინებს. კურორტი ბეშუმისა და მიმდებარე ტერიტორიების განვითარების კონცეფცია უკვე დამტკიცდა.

სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტები

აჭარაში სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის დღემდე 260

მილიონი ლარი დაიხარჯა. მხოლოდ 2025 წლის ბიუჯეტი 34 500 000 ლარს შეადგენს. 2025-2028 წლებში კი, აჭარის მუნიციპალიტეტებში, სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის, აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან, დაახლოებით 200 მილიონ ლარამდეა გათვალისწინებული.

მიმდინარეობს **ჩაქვის რაგბის სტადიონის** მშენებლობა. პროექტი ითვალისწინებს თანამედროვე სტანდარტების ხელოვნურ საფარიანი, 350 მაყურებელზე გათვლილი სტადიონის მოწყობას. პროექტის ჯამური ღირებულება 6 694 208 ლარს შეადგენს. 2025 წლის ბიუჯეტი 698 055 ლარი.

მიმდინარეობს **ყინულის არენის და საცურაო აუზის** პროექტი. დასრულდა 1500 მაყურებელზე გათვლილი ყინულის არენის მშენებლობა. მიმდინარეობს ოლიმპიური სტანდარტების 800 მაყურებელზე გათვლილი საცურაო აუზის მშენებლობა. ეს არის 10 ზოლიანი, 1,7 მეტრი სიმაღლის საცურაო აუზი. პროექტის ჯამური ღირებულება 54 მლნ ლარს შეადგენს.

მიმდინარეობს **დაბა ხულოში** თანამედროვე სტანდარტების **სპორტული სკოლის** მოწყობისა და საფეხბურთო სტადიონის რეაბილიტაცია. პროექტის ღირებულება 14 197 837 ლარს შეადგენს. 2025 წლის ბიუჯეტი 500 000 ლარი.

დაგეგმილია **დაბა ქედაში სასპორტო სკოლისა და „საფეხბურთო კლუბი ბეთლემის“ სტადიონის** მოწყობა. კომპლექსი 300 მაყურებელზე იქნება გათვლილი. პროექტი, ასევე 500 მაყურებელზე გათვლილი, ფიფას სტანდარტის ხელოვნურსაფარიანი სტადიონის მოწყობას ითვალისწინებს. პროექტის ღირებულება 22 779 084 ლარს შეადგენს. 2025 წლის ბიუჯეტი 500 000 ლარი.

დაგეგმილია **ხელვაჩაურში სპორტული სკოლისა და „საფეხბურთო კლუბი მაჭახელას“** სტადიონის მშენებლობა. პროექტი ითვალისწინებს 300 მაყურებელზე გათვლილი სპორტული კომპლექსის და 400 მაყურებელზე გათვლილი ფიფას სტანდარტის ხელოვნურსაფარიანი სტადიონის მოწყობას. პროექტის ღირებულება 31 301 272 ლარს შეადგენს. 2025 წლის ბიუჯეტი - 326 036 ლარია.

მიმდინარეობს **ქობულეთის სტადიონის „ჩელე არენას“ რეაბილიტაცია.** პროექტის ღირებულება 2 916 896 ლარს შეადგენს. 2025 წლის ბიუჯეტი 2 662 976 ლარია.

დაგეგმილია **ქობულეთის სპორტული კომპლექსის მშენებლობა.** პროექტი ითვალისწინებს უნივერსალური, 500 მაყურებელზე გათვლილი, სპორტული კომპლექსის მოწყობას, სადაც ფეხბურთის, კალათბურთის და ხელბურთის მინი დარბაზები განთავსდება. პროექტის ღირებულება 39 624 843 ლარს შეადგენს. 2025 წლის ბიუჯეტი 100 000 ლარი.

დაგეგმილია **ბათუმის ჭადრაკის სასახლის მშენებლობა.** პროექტით შენობაში 2 სატურნირო დარბაზი, სპორტულ-ლიტერატურული სივრცე საჭადრაკო ბიბლიოთეკით და საგამოფენო სივრცე მოეწყობა. პროექტის ღირებულება 23 717 172 ლარს შეადგენს. 2025 წლის ბიუჯეტი 100 000 ლარი.

დაგეგმილია **სოფელ ფურტიოსა და სოფელ ხუცუბნის რაგბის მოედნების მოწყობა.** პროექტი ფურტიოში 150 მაყურებელზე, ხოლო ხუცუბანში 250 მაყურებელზე გათვლილი ხელოვნურსაფარიანი მოედნის მოწყობას ითვალისწინებს. პროექტის ღირებულება 12 631 375 ლარს შეადგენს. 2025

წლის ბიუჯეტი 100 000 ლარია.

დაგეგმილია **ბათუმის საჩოგბურთო კორტების რეაბილიტაცია.** პროექტი მოიცავს 5 ღია ტიპის კორტის რეაბილიტაციას, ასევე განათების სისტემების და „ჰარდკორტის“ ტიპის საფარის მოწყობას. პროექტის ღირებულება 5 447 886 ლარს შეადგენს. 2025 წლის ბიუჯეტი 1 212 249 ლარი.

2024 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური და სპეციალური ფინანსური ტრანსფერის მოცულობა, 269 685 800 ლარით განისაზღვრა.

აღნიშნული ფინანსური დახმარების ფარგლებში სხვადასხვა მნიშვნელოვანი პროექტი დაფინანსდა:

ბათუმი: ვარშანიძის და ხახულის ქუჩების კეთილმოწყობის სამუშაოები, ალექსანდრე ნანეიშვილის ქ. N12-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა, გიორგი ლეონიძის ქუჩის კეთილმოწყობა, ნიკო მუსხელიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია, ე.წ. „შანხაის დასახლებაში“ სოციალური სახლის მშენებლობა, 26 მაისის 13-ში საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ს.ხიმშიაშვილის ქ.№94-96-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის დემონტაჟი და ახალი სახლის მშენებლობა, მუნიციპალური ავტობუსების შეძენის თანადაფინანსება და სხვა;

ქობულეთი: ქალაქ ქობულეთში ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია, დაბა ჩაქვში მდებარე ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია, ქალაქ ქობულეთში დაზიანებული სანაპირო ზოლის რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტის გზებზე ბეტონის საფარის მოწყობა და სხვა;

ხელვაჩაური: სტიქიური რისკის ზონაში მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელ სახლებთან ფერდ-სამაგრი ნაგებობების მშენებლობა, სოციალური სახლის მშენებლობა, სოფ. ახალსოფელში საბავშვო ბაღის მშენებლობა, შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტში დაზიანებული ხიდების მოწყობა და სხვა;

ქედა: შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები, მინი სპორტული მოედნების რეაბილიტაცია (დანდალო, ზესოფელი, კოლოტაური, სოფ. ცხმორისი), სოფელ წონიარისის სათავე კვანძის, მაგისტრალური მილსადენისა და გამანაწილებელი ქსელის მოწყობა, სოფელ ახოში სკვერის მოწყობა, ავტობუსის შესყიდვა და სხვა;

შუახევი: შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები, დაბის კეთილმოწყობა, ავტობუსის შეძენა, სპორტული მოედნების მშენებლობა და არსებულის რეაბილიტაცია, სოფლებში და სამთო იალაღებზე სასმელი წყლის სისტემის მოწყობა და სხვა;

ხულო: შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია, ფერდსამაგრი სამუშაოები, დაბა ხულოში სახელოვნებო სკოლის და სამხატვრო გალერეას მშენებლობა, სოფელ წაბლანაში საბავშვო ბაღის მშენებლობა, ავტობუსების შესყიდვა, მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია და სხვა.

2025 წელს, აჭარის მუნიციპალიტეტებისთვის გადასაცემი კაპიტალური და ფინანსური დახმარება (ტრანსფერი) 347 495 500 ლარს შეადგენს.

მათ შორის:

ბათუმის მუნიციპალიტეტი - 232 000 000 ლარი;

ქობულეთის მუნიციპალიტეტი - 45 064 000 ლარი;

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი - 32 306 500 ლარი;

ქედის მუნიციპალიტეტი - 9 750 000 ლარი;

შუახევის მუნიციპალიტეტი - 10 050 000 ლარი;

ხულოს მუნიციპალიტეტი - 16 325 000 ლარი.

აღნიშნული ფინანსური დახმარების ფარგლებში, სხვადასხვა მნიშვნელოვანი პროექტი ფინანსდება:

ბათუმი: იაკობ გოგებაშვილის და შოთა რუსთაველის ქუჩების რეაბილიტაცია, მამია გოგოლიშვილის ქუჩა N57-ის მიმდებარედ ხიდის მოწყობა, რაგბის სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები და სხვა;

ქობულეთი: 2025 წელს დაიწყო და მიმდინარეობს ახალი სანაპირო ზოლის (ზღვისპირა პარკი) მოწყობის I ეტაპი (2026 წელს დასრულდება); სრულდება გვარასა და ქვედა კვირიკეში საბავშვო ბაღების მშენებლობა, დასრულდა ქ. ქობულეთში, რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები, ქ. ქობულეთში, პოპოვის ქუჩა #12 მრავალბინიანი სოციალური სახლების მშენებლობა;

ხელვაჩაური: მიმდინარეობს ორი სოციალური სახლის მშენებლობა, შიდა-სასოფლო გზების რეაბილიტაცია, სოფელ განთიადში საბავშვო ბაღის, ადმინისტრაციული შენობის და სამუსიკო სკოლის მშენებლობა, სოფელ ერგეში საბავშვო ბაღისა და ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა, ახალშენის კულტურის სახლის რეაბილიტაცია, მინი მოედნების და ხიდების მოწყობა და სხვა;

ქედა: მიმდინარეობს შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები, დაბა ქედის კულტურის სახლის რეაბილიტაცია, სოციალური სახლის მშენებლობა, მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, წყლის სისტემების მოწყობა და სხვა;

შუახევი: მიმდინარეობს და დაგეგმილია მუნიციპალიტეტის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები, სოფლებში და სამთო იალაღებზე სასმელი წყლის სისტემის მოწყობა;

ხულო: მიმდინარეობს და დაგეგმილია მუნიციპალიტეტის შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია, დაბა ხულოში, ტბელ აბუსერიძის ქუჩაზე, სკვერების რეაბილიტაცია, სოფელ წაბლანაში საბავშვო ბაღის მშენებლობა, სოფელ აგარაში საბავშვო ბაღის მშენებლობა, სოფელ დანისპარაულის ადმინისტრაციული შენობის და საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია და სხვა.

აჭარის მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, 2024 წელს, **სოფლის მხარდაჭერის პროგრამა** 4 194 000 ლარით დაფინანსდა. აღნიშნული პროგრამის 2025 წლის გეგმა 4 194 000 ლარს შეადგენს.

აჭარაში „ეთნოსოფლის" პროექტი ხორციელდება. პროექტის ფარგლებში ტერიტორიაზე უკვე დასრულდა თანამედროვე სტანდარტების ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობა. „ეთნოსოფლის" პროექტი რამდენიმე წელზეა გათვლილი და ზოგადად მოიცავს მაჭახლის ხეობაში სხვადასხვა ლოკაციაზე საზოგადოებრივი ცენტრების მშენებლობას, ისტორიული და ეთნოგრაფიული ძეგლების რეაბილიტაციასა და სხვა ტურისტულ-ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას. პროექტის ფარგლებში, მიმდინარეობს ზედა ჩხუტუნეთში საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობა. მოეწყობა საზოგადოებრივი სივრცე, ეთნოგრაფიული სახელოსნოები, სადაც სტუმრები რეწვის და ქსოვის მასტერკლასებს გაეცნობიან. ამ ეტაპზე დასრულებულია შენობის მშენებლობა და მიმდინარეობს ობიექტის კეთილმოწყობა. სამუშაოები წლის ბოლოსთვის

დასრულდება.

2025 წელს დაგეგმილია **ზედა ჩხუტუნეთის ცენტრის რეკონსტრუქცია.** პროექტი ძველი შენობების დემონტაჟს და ხეობისთვის დამახასიათებელი არქიტექტურული ელემენტების გამოყენებით, ახლის მშენებლობას ითვალისწინებს. მიმდინარე წელს დაიწყება მშენებლობის შესყიდვის პროცედურები. პროექტის ბიუჯეტი 1 700 000 ლარს შეადგენს.

2024 წელს, შუახევის მუნიციპალიტეტში, **სოფელ ხაბელაშვილებში** დაიწყო და მიმდინარეობს ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება არსებული ბილიკების რეაბილიტაცია. წელს დაგეგმილია ახალი საფეხმავლო ბილიკების მოწყობა. მშენებლობის ტენდერი მიმდინარე წელს გამოცხადდება. პროექტის ღირებულება 200 000 ლარს შეადგენს.

ჩირუხის ზიპლაინი - აჭარაში, შუახევის მუნიციპალიტეტში, ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე გრძელი, ორზოლიანი ზიპლაინი აშენდა. უპრეცედენტო ინფრასტრუქტურული პროექტი ჩირუხის მთაზე განხორციელდა. „არწივის ბუდის" დიზაინით შექმნილი, 1 752 მეტრი სიგრძის ობიექტი, ზღვის დონიდან 2496 მეტრ სიმაღლეზე განთავსდა. ზიპლაინის ქვედა სადგურში ტურისტულ-ვიზიტორთა ცენტრი იფუნქციონირებს. საპროექტო არეალი დაახლოებით 3500 ჰექტარ ტერიტორიას მოიცავს. პროექტი ორივე სადგურთან პარკინგის სივრცეს, ველო სადგომებს და განათებებს მოიცავს. შენობა ექსპლუატაციაში უკვე მიღებულია. პროექტის ღირებულება 9.3 მლნ ლარია.

მრეწველობის განვითარება

დაიწყო ბათუმის სამრეწველო ზონის განვითარება - პროექტი ხელვაჩაურში არანაკლებ 90 ჰა ფართობის მიწის ნაკვეთებზე, საწარმოების მოწყობას ითვალისწინებს. ეკონომიკური გათვლების მიხედვით, მოსალოდნელია 75 მლნ დოლარის კერძო ინვესტიცია, რითაც დაახლოებით 1500 სამუშაო ადგილი შეიქმნება. ამ ეტაპისთვის დაახლოებით 40 საინვესტიციო პროექტი უკვე მიმდინარეობს, რომლის ჯამური ინვესტიცია დაახლოებით 50 მლნ ლარს შეადგენს. ბათუმის მუნიციპალიტეტმა კომუნალური და საგზაო ინფრასტრუქტურის პროექტები განახორციელა. მოეწყო 10-მდე გზა სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელებით, დამონტაჟდა 600-მდე განათების ბოძი და დაიგო 80 000 კვ.მ ასფალტის საფარი. პარალელურად ტერიტორიის გაზიფიცირება განხორციელდება.

ტურიზმის განვითარების პოლიტიკა

ტურიზმის დინამიკა აჭარაში მუდმივად მზარდია. 2024 წელს საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავლებმა საქართველოში 4 425 377 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. 2023 წლის მაჩვენებელთან შედარებით შემოსავლები გაზრდილია +7.3 %-ით (2023 წელი - USD 4 125.329 მლნ.).

2024 წელს, ჯამში შიდა და უცხოელი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა შეადგენს 4 715 020 ვიზიტს, რაც

2023 წლის (4 691 633 ვიზიტი) ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია +0.5 %-ით.

ვიზიტების ზრდა დაფიქსირდა ბათუმის საერთაშორისო აეროპორტშიც. 2024 წლის მონაცემით განხორციელდა 3 886 საერთაშორისო ფრენა, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 50%-ით. ვიზიტები 2025 წლის პირველი კვარტლის მონაცემებითაც გაზრდილია. 2025 წლის იანვარ-აპრილის მონაცემით, განხორციელდა 1034 საერთაშორისო ფრენა, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 44 % -ით.

ვიზიტების ზრდით გამოირჩეოდა მთიანი აჭარის ტურისტული მარშრუტებიც. ტურისტულ საინფორმაციო ცენტრების მონაცემებზე დაყრდნობით, მთიანი აჭარის მარშრუტზე ვიზირების რაოდენობა 2024 წელს გაზრდილია **44.61%-ით,** რაც **422 201** ვიზიტს გულისხმობს.

რეგიონში ტურიზმის განვითარების მთავარ სტრატეგიას წარმოადგენს აჭარის რეგიონის ცნობადობის გაზრდა, როგორც წამყვანი, ყველა სეზონის, მაღალი ხარისხის ტურისტული მიმართულება, რომელიც გამორჩეულია თავისი კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობით, მსოფლიო დონის მომსახურებითა და სტუმარმასპინძლობის უძველესი ტრადიციებით.

საერთაშორისო აღიარებები და ცნობადობა

2024 წელს ბათუმმა World Travel Awards-ზე კიდევ ერთი პრესტიჟული ჯილდო მოიპოვა და მსოფლიოს ყველა სეზონის ტურისტულ მიმართულებად დასახელდა. 2019 წლიდან დღემდე, World Travel Awards-ის პრესტიჟული ჯილდო ბათუმმა ჯამში 7-ჯერ მოიპოვა. თავდაპირველად, როგორც ევროპის, ხოლო მოგვიანებით, როგორც მსოფლიოს სწრაფად მზარდმა ტურისტულმა მიმართულებამ. 2023 წელს კი, ბათუმი, აჭარა ევროპის ოთხი სეზონის ტურისტულ მიმართულებად დასახელდა.

ევროპის პრესტიჟულმა სამოგზაურო პლატფორმამ (European Best Destinations) ბათუმი 2024 წლის, ევროპის 5 საუკეთესო ტურისტულ მიმართულებას შორის დაასახელა. სამოგზაურო პლატფორმამ მოგზაურებს 2024 წლისთვის საფრანგეთის, ესპანეთის, იტალიის, შვეიცარიის პოპულარულ მიმართულებებთან ერთად ბათუმში მოგზაურობა ურჩია. აღნიშნულის შესახებ სტატიები ისეთმა პოპულარულმა მედიაგამოცემებმა გამოაქვეყნეს, როგორებიცაა Forbes, Conde Nast Traveller, Sapo Brasil, Viaggi Corriere, Yahoo France და Ouest France.

საერთაშორისო აღიარებით დაიწყო რეგიონისთვის 2025 წელიც. გავლენიანმა სამოგზაურო პლატფორმამ European Best Destinations კურორტი გოდერძი ევროპის საუკეთესო თოვლიან სათხილამურო მიმართულებად დაასახელა. 12 საუკეთესო მიმართულებას შორის, საქართველოს კურორტთან ერთად საფრანგეთის, იტალიის, შვეიცარიისა და ავსტრიის სამთო-სათხილამურო მიმართულები მოხვდნენ.

აქტიურად მიმდინარეობდა რეგიონის ცნობადობის გაზრდა და ტურისტული შესაძლებლობების პოპულარიზაცია 25-ზე მეტ სამიზნე ქვეყანაში. აჭარის რეგიონი წარმოდგენილია ყველა მნიშვნელოვან საერთაშორისო ტურისტულ პლატფორმასა და ღონისძიებაზე.
მედია ტურების ფარგლებში რეგიონს სტუმრობენ ცნობილი ბლოგერები, წამყვანი მედიისა და პრესის წარმომადგენლები. 2024 წელს, განხორციელდა 48 საერთაშორისო მედია ტური.

საერთაშორისო პლატფორმები და გამოფენები: აჭარის რეგიონი წარმოდგენილია მსოფლიოს მასშტაბით ყველა მნიშვნელოვან ტურისტულ ღონისძიებაზე და აქტიურად ხორციელდება რეგიონის ტურისტული პოტენციალის პრეზენტაციას. აჭარის რეგიონი წარმოდგენილი იყო 23 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე როგორც ევროპაში, ისე აზიასა და მეზობელ ქვეყნებში.

ტურისტული პროდუქტების და ინფრასტრუქტურის განვითარება

ქობულეთის დაცულ ტერიტორიაზე, ისპანის ტორფნარზე დასრულდა გარემოსთან ადაპტირებული საფეხმავლო ბილიკების მოწყობა და არსებული ხიდების რეკონსტრუქცია. დაიწყო ისპანის ტორფნარზე ეკოტურიზმისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით გადამფრენი ფრინველების სათვალთვალო კოშკის და გადმოსახედი პლატფორმის მშენებლობა. შემდეგი წლისთვის კი ნაკრძალს მოსასვენებელი სივრცეები,

ვიზიტორთა ცენტრი და ავტოპარკინგი შეემატება. ასევე, გაკეთდება შემეცნებითი სივრცე, სადაც ისპანის ბიომრავალფეროვნება იქნება წარმოდგენილი.

ღორჯომის ხეობაში საცხენოსნო ტურიზმის განვითარების მიზნით ინფრასტრუქტურის მოწყობა წელს დაიწყება. პროექტის მიხედვით, ხეობაში გარემოსთან ადაპტირებული ამფითეატრის, ადმინისტრაციული ცენტრისა და წრიული საცხენოსნო ბილიკების მოწყობა იგეგმება, სადაც შესაძლებელი იქნება, როგორც მოყვარულების, ისე პროფესიონალების ჯირითი.

მთაში არსებული მარშრუტების განვითარების პარალელურად, ბოლო წლებში მთიან აჭარას ახალი ტურისტული ინფრასტრუქტურა შეემატა. მათ შორისაა ხიხანის ისტორიულ ციხეზე ასასვლელი ტურისტული ბილიკი, ჯვარიმინდორის ტურისტული თავშესაფრები და საპიკნიკე ზონა, ტურისტული ბილიკი ქობულეთის ტორფნარზე, კანიონინგის ინფრასტრუქტურა კაპნისთავსა და უჩხოში. გარდა ამისა, საპიკნიკე ინფრასტრუქტურა მოეწყო 10-მდე ტურისტულად საინტერესო მიმართულებებზე (ხარისაწოლი, ღომას მთა, ნაკონაღვარი, ჩირუხი, ჯვარიმინდორი, ჩალეწილები, ბრილი, ლელთის ტბა, მირვეთი და ჩაისუბანი/შუამთა).

აჭარაში არსებულ 4 ტურისტულ-საინფორმაციო ცენტრს ჩაუტარდა მოდერნიზაცია (ხულოს, აჭარის წყლის, ბათუმის საბაგიროსა და ბულვარის ტურისტული- საინფორმაციო ცენტრები).

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია

2024 წლის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბიუჯეტი 58 524 980 ლარით განისაზღვრა:

საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა/შენახვა - 18 506 181 ლარი.

- 11,95 კმ. გზა რეაბილიტირდა
- 74,45 კმ. სიგრძის საავტომობილო გზაზე მოეწყო ბეტონის საფარი
- მოეწყო 101 ხელოვნური ნაგებობა
- აშენდა 3 ახალი ხიდი
- მოეწყო 83 საყრდენი კედელი
- მოეწყო დამცავი და წყალარინების 15 ნაგებობა

2025 წლის ბიუჯეტი 61 827 492 ლარს შეადგენს, რითაც სხვადასხვა საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება:

42 მიმართულებით მიმდინარეობს ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა და რეაბილიტაცია უტარდება 97,61 კმ. სიგრძის საავტომობილო გზას.

განხორციელდება ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა /რეაბილიტაცია

- 303 ერთეული ხელოვნური ნაგებობა, მათ შორის: 25 ხიდი, 232 საყრდენი კედელი და 46 დამცავი და წყალარინების ნაგებობა.

საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა/შენახვა

- 75 კმ. სიგრძის საავტომობილო გზაზე ეწყობა ბეტონის საფარი
- ეწყობა 1500 მეტრი სიგრძის წყალგამტარი მილები და სანიაღვრე

არხები

- მოიხრეშება და შანდაკდება 1000 კმ. სიგრძის საავტომობილო გზა

აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი, მაღალი ტურისტული აქტივობის მქონე მიმართულებებზე, საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაა. 2025 წლის ბიუჯეტში უკვე გათვალისწინებულია მსგავსი ლოკაციები:

ქედის მუნიციპალიტეტში, ზვარე-ვაიოს დამაკავშირებელი ხიდი აშენდება. 84 მეტრიანი ხიდი მდ. აჭარისწყალზე მოეწყობა. აღნიშნული ხიდით სოფელი ვაიო და მიმდებარედ არსებული 3 სოფელი ისარგებლებს. დღეისთვის, სოფელ ვაიოში, არაერთი საოჯახო ტიპის სასტუმრო და მარანი ფუნქციონირებს. ახალი ხიდი ტურისტულ პროდუქტებზე ხელმისაწვდომობას გააუმჯობესებს. პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 1,97 მილიონ ლარს შეადგენს.

ხულოს მუნიციპალიტეტში, შავ ტბასთან მისასვლელი 6,2 კილომეტრიანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია განხორციელდება. პროექტით, სრულად გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა ექნება აქტიურ ტურისტული მარშრუტს დანისპარაულიდან, შავი ტბის და მწვანე ტბის გავლით, კურორტ გოდერძიმდე. პროექტი ცემენტ-ბეტონის საფარის მოწყობას ითვალისწინებს და მისი ღირებულება 6,6 მილიონ ლარს შეადგენს;

ხულოს მუნიციპალიტეტში, ღორჯომი-ბახმაროს მიმართულებით 3,2 კილომეტრი გზის რეაბილიტაცია განხორციელდება. აღნიშნულ ლოკაციაზე აჭარის ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი საცხენოსნო ტურიზმის განვითარებას გეგმავს.

შუახევის მუნიციპალიტეტში, ჩირუხის მიმართულებით 3,8 კილომეტრი გზის რეაბილიტაცია განხორციელდება. აღნიშნულ ლოკაციაზე, „აჭარის პროექტების მართვის კომპანიის“ დაფინანსებით, ჩირუხის ორზოლიანი, ევროპაში ყველაზე გრძელი, ზიპლაინი აშენდა. საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტის ღირებულება 3,4 მილიონ ლარს შეადგენს.

ბათუმის ბულვარი

ბათუმის ბულვარის 2024 წლის ბიუჯეტი 14 858 200 ლარით განისაზღვრა. ბულვარის ინფრასტრუქტურის განვითარება 13 247 700 ლარით დაფინანსდა.

„სკეიტ პარკი“ - ახალ ბულვარში საერთაშორისო ლიცენზიის მქონე „სკეიტ პარკი“ მოეწყო. ექსტრემალურ სივრცეში სკეიტბორდისთვის განკუთვნილი რელიეფური არეალები, დეკორატიული თაღები, მაყურებელთა ტრიბუნები და დასასვენებელი სივრცეები განთავსდა. 4800 კვ.მ ფართობზე არსებული მულტიფუნქციური სპორტული მოედანი, ადგილობრივ და საერთაშორისო დონის ღონისძიებებს უმასპინძლებს. პროექტის ღირებულება 3 165 138 ლარს შეადგენს.

ველობილიკის რეაბილიტაცია - ბათუმის ბულვარში არსებულ ველობილიკს

კაპიტალური რეაბილიტაცია ჩაუტარდა. მასშტაბური სარეკონსტრუქციო სამუშაოები ძველი ბულვარიდან ახალ ბულვარში არსებულ საველოსიპედო ბილიკზე, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მონოლითური რკინა-ბეტონის საფარის მოწყობას და მარკირებას ითვალისწინებდა. საპროექტო ველოტრასის სიგრძე 6 000 გრძივ მეტრს შეადგენს.

სავარჯიშო მოედნების რეაბილიტაციის პროექტი - განაშენიანების გეგმის ფარგლებში, სავარჯიშო მოედნების რეაბილიტაციის პროექტი განხორციელდა. თანამედროვე ტიპის სპორტული მოედნები ახალი ტრენაჟორებით, ადაპტირებული სავარჯიშოებითა და ინვენტარით აღიჭურვა.

სანაპირო ზოლის ინფრასტრუქტურის განახლება - საჯარო სერვისების ხარისხის გაუმჯობესებისა და გამართული ტურისტული ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის მიზნით, სანაპირო ზოლზე თანამედროვე სტანდარტების ინფრასტრუქტურა განთავსდა. სამ ლოკაციაზე სრულად განახლდა განსაკუთრებული შესაძლებლობის პირთათვის საჭირო ინფრასტრუქტურა. დასასვენებელი სივრცე ძველ ბულვარში, კოლონადების მიმდებარედ, 2 000 კვ.მ ფართობზე მოეწყო. პროექტის ფარგლებში, განთავსდა საბაღე ინფრასტრუქტურა. კაპიტალური რეაბილიტაცია ჩაუტარდა ძველ ბულვარში არსებულ საბავშვო კუთხეს.

2025 წელს ზღვისპირა ბაღის მოვლა-პატრონობისა და ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის 13 971 100 ლარია გათვალისწინებული.

2025 წლის ბიუჯეტის პროგრამები, ახალი სავარჯიშო მოედნების მოწყობას და სანაპირო ზოლის სივრცეების განახლებას მოიცავს. სანაპირო ზოლზე მიმდინარეობს მოდერნიზებული გასახდელების, საშხაპეებისა და ზღვაზე ჩასასვლელი ხის ბილიკების მოწყობა. ახალ ბულვარში „აკვა-პარკის“ მიმდებარედ ახალი სკვერის მოწყობის პროექტი დაიწყო. პროექტის კონცეფცია 3 000 კვ.მ ფართობზე არსებული სივრცის გამწვანებას, სხვადასხვა სახეობის მრავალწლოვანი ხე-მცენარეების დარგვას, დასასვენებელი სივრცის კეთილმოწყობას ითვალისწინებს.

ბულვარის ბაღის ტერიტორიაზე 1561 ძირი მრავალწლოვანი ხე-მცენარე და ბუჩქი დაირგო. სასეირნო ბილიკების რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, დემეტრე თავდადებულის ქუჩების გასწვრივ 2750 კვ.მეტრზე ახალი ფილებითა და ბორდიურებით ტერიტორიის კეთილმოწყობა განხორციელდება.

განათლება, კულტურა, სპორტი

განათლება, მეცნიერება, კულტურა ქვეყნის განვითარებისა და სტაბილური მომავლის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი კომპონენტებია, რომლებიც უზრუნველყოფს ძლიერი ადამიანური კაპიტალის განვითარებას, ქვეყნის ინოვაციურ და ეკონომიკურ წინსვლას, ქმნის ახალ შესაძლებლობებს, ამაღლებს კონკურენტუნარიანობას. აჭარის მთავრობის ძირითადი მიმართულება ინკლუზიური, ხარისხიანი და თანამედროვე მოთხოვნებზე მორგებული განათლების სისტემის ჩამოყალიბებაა.

განათლებაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობისა და ხარისხის ზრდის უზრუნველსაყოფად უწყვეტია განათლების ბიუჯეტის ზრდის პროცესი. 2024 წელს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბიუჯეტი შეადგენდა 142 636 700 ლარს, 2025 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 154 000 000 ლარით. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გაყოფის შემდეგ, 2025 წლის 1 მარტიდან აჭარის განათლებისა და სპორტის სამინისტროს ბიუჯეტი შეადგენს 116 319 000 ლარს. გაზრდილი ბიუჯეტის ფარგლებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა რეგიონში განათლების ხარისხის ზრდას, საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის შექმნას და განათლებაზე ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს. 2024 წელს განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები ინფრასტრუქტურის შექმნის, კადრების მომზადების, ახალგაზრდების ხელშეწყობის მხრივ.

2024-2025 წლებში გაგრძელდა საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარება. საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის მიმართულებით 2024 წელს გაიხარჯა 31 661 100 ლარი, ხოლო 2025 წლის ბიუჯეტი შეადგენს 43 760 000 ლარს.

2025 წელს დაგეგმილია 30 საჯარო სკოლის მშენებლობის და 70 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება, ასევე, 80 საჯარო სკოლის სამშენებლო-სარეაბილიტაციო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრომ 2024 წელს დაასრულა 6 მშენებლობა: სოფელ ბეღლეთის, სოფელ ხუცუბანის, ბათუმის N16 საჯარო სკოლები და დაბა ქედის, სოფელ მახოსა და სოფელ განთიადის საჯარო სკოლების სპორტული დარბაზების მშენებლობა. 2024 წლის ბოლოსთვის მიმდინარე პროცესში იყო 6 სკოლის (ზემო წინსვლა, მახინჯაური, ბათუმის ახალი სკოლა, ბათუმის N3, ქვემო ვაშლოვანი), მათ შორის 1 სპორტდარბაზის (საჩინო) მშენებლობა.

2024 წელს განხორციელდა 46 საჯარო სკოლის სრული და ნაწილობრივი რეაბილიტაცია. 2024 წელს 16 საჯარო სკოლაში მოეწყო ღია სპორტული მოედანი. 2025 წელს იწყება სკოლებში ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების მონტაჟი, რომლითაც შესაძლებელი იქნება სკოლის დერეფნებისა და ეზოს მონიტორინგი მეტი უსაფრთხოებისთვის.

სკოლების ინფრასტრუქტურის პროექტები მუნიციპალიტეტების მიხედვით: ბათუმში დასრულდა - N16 საჯარო სკოლის მშენებლობა, N9 და N26 სკოლის სრული რეაბილიტაციის მნიშვნელოვანი ნაწილი; **მიმდინარეობს** ბათუმის ცენტრალურ ნაწილში ახალი სკოლის მშენებლობა, N3 საჯარო სკოლის ახალი კორპუსის მშენებლობა, ასევე მიმდინარეობს N14, N18 საჯარო სკოლის საჯარო სკოლის დამატებითი კორპუსის მშენებლობა, იწყება N31 საჯარო სკოლის მშენებლობა (ხელშეკრულება დადებულია), დასკვნით ეტაპზეა ბათუმის N7 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია. **იგეგმება** ბათუმის N8, N9, N15 და N20 საჯარო სკოლების დამატებითი მშენებლობის დაწყება. ასევე, ბათუმის შემოერთებულ ტერიტორიაზე (კახაბრის დასახლება) კიდევ ერთი

სრულიად ახალი სკოლის მშენებლობა, რომლის პროექტირებაც მიმდინარეობს. **განხორციელდება** ბათუმის N1, N2, N17, N22, N25 და N26 საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ქობულეთში დასრულდა ხუცუბნის საჯარო სკოლის მშენებლობა, ბუკნარის საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია; **მიმდინარეობს** საჩინოს სკოლის სპორტდარბაზის მშენებლობა, ჯიხანჯურის, აჭყვისთავის, ციხისძირის, ქობულეთის N1 სკოლის რეაბილიტაცია. **დაგეგმილია** ბობოყვათის, მუხაესტატეს, კოხის, კონდიდის სკოლების მშენებლობა; ქობულეთის N2 სკოლის დამატებითი კორპუსის მშენებლობა; კვირიკეს N2, ლეღვას N1, ქაქუთის სკოლების სრული რეაბილიტაცია.

ხელვაჩაურში დასრულდა მახოს სკოლის დამატებითი კორპუსის მშენებლობა, განთიადის სკოლის სპორტდარბაზის მშენებლობა, აგარის სკოლის სრული რეაბილიტაცია. **მიმდინარეობს** მახინჯაურის საჯარო სკოლის დამატებითი კორპუსის მშენებლობა, ზემო წინსვლის სკოლის მშენებლობა-რეკონსტრუქცია, ერგეს სკოლის სრული რეაბილიტაცია. **დაგეგმილია** თხილნარის N2 სკოლის მშენებლობა, ახალშენის N1 სკოლის ახალი კორპუსის მშენებლობა და არსებული შენობის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია, ჭარნალის და ახალსოფლის სკოლების დამატებითი კორპუსების მშენებლობა; სალიბაურის N2 სკოლის სპორტდარბაზის მშენებლობა; ქვედა ჩხუტუნეთის სკოლის სრული რეაბილიტაცია

ქედაში დასრულდა დაბა ქედის სპორტდარბაზის მშენებლობა, კვაშტას

სკოლის სრული რეაბილიტაცია, პირველი მაისის და მახუნცეთის სკოლების რეაბილიტაცია. **მიმდინარეობს** ზვარეს სკოლის სპორტდარბაზის მშენებლობა. **დაგეგმილია** დანდალოს და დანდალოს N1 საჯარო სკოლების სხვადასხვა სარეაბილიტაციო სამუშაოები, წონიარისის, დაბა ქედის და მერისის სკოლების რეაბილიტაცია

შუახევში დასრულდა ხიჭაურის სკოლის რეაბილიტაცია, ჟანივრის სკოლის ფასადის რეაბილიტაცია. **მიმდინარეობს** ფურტიოს სკოლის რეაბილიტაცია, **დაგეგმილია** კვიახიძეების სკოლის მშენებლობა, ოლადაურის სკოლის ტერიტორიის კეთილმოწყობა. ნენიის, კარაპეტის, ქიძინიძეების და ჭვანის სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ხულოში დასრულდა ბეღლეთის სკოლის მშენებლობა, აგარის და ძირკვაძეების სკოლების რეაბილიტაცია. **მიმდინარეობს** ქვემო ვაშლოვანის სკოლის სასწავლო კორპუსის და კამპუსის მშენებლობა, ხიხაძირის სკოლის სრული რეაბილიტაცია.

დაგეგმილია დანისპარაულის, უჩხოს, მეკეიძეების სკოლების მშენებლობა, დიდაჭარის, რაქვთის, რიყეთის, ზემო ვაშლოვანის, კვატიისა და ბაკო სკოლების რეაბილიტაცია.

სკოლამდელი განათლება

2023 წლიდან დაიწყო, როგორც საჯარო, ასევე კერძო, ადრეული და

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების თვითშეფასებისა და მათი მხარდაჭერის პროცესი ავტორიზაციის გავლის მიზნით. განათლებისა და სპორტის სამინისტრო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში აგრძელებს რეგიონში ადრეული განათლების დაწესებულებებში მომსახურების ხარისხის გაზრდისა და სახელმწიფო სტანდარტების დაცვის ხელშეწყობას.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაფინანსდა ადრეული და სკოლამდელი განათლების მიმართულებით შესაბამისი სახელმძღვანელოების თარგმნა, ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია ადრეული განათლება და ზრუნვა.

ზოგადი განათლება

სკოლებში თანაბრად ხელმისაწვდომი სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით, მთავრობის უმთავრესი პრიორიტეტია თანამედროვე საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა. ასევე, მასშტაბური მშენებლობა-რეაბილიტაციის პარალელურად, სასკოლო ცხოვრების მრავალფეროვნებისა და მოსწავლეთა ინტერესების, უნარების რეალიზებისთვის შესაბამისი პირობების შექმნა. სწორედ, ამ მიზნებს ემსახურება პროგრამა - **საჯარო სკოლების მატერიალური ბაზის გაუმჯობესება.** 2024 წელს პროგრამის ფარგლებში 22 საჯარო სკოლა აღიჭურვა კომპიუტერული ტექნიკით, განხორციელდა 3 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის სივრცის რეაბილიტაცია, 6 საჯარო სკოლისთვის შეძენილ იქნა მუსიკალური ინსტრუმენტების

კომპლექტი, 30 საჯარო სკოლა აღიჭურვა სპორტული ინვენტარით, განახლდა 15 საჯარო სკოლის სახელოვნებო სივრცე. 2025 წელს დაგეგმილია აღნიშნული პროექტების გაგრძელება და ახალი პროექტის დაწყება, კერძოდ სასკოლო ავეჯისა და სასკოლო ლაბორატორიების შესყიდვა. მიმდინარე წელს პროგრამის ბიუჯეტი 2 720 000 ლარია.

კონკურსები და ოლიმპიადები - მოსწავლეებში კითხვის პოპულარიზაციის მიზნით, იმართება ლიტერატურული მარათონი, სახვითი ხელოვნების და ესეების კონკურსი, საგნობრივი ოლიმპიადა, დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის კონკურსები და სხვა. ხორციელდება სასკოლო ინიციატივების დაფინანსება სასკოლო კლუბებისა და ბიბლიოთეკების განვითარების მიზნით. ორგანიზება უკეთდება საზაფხულო სკოლებისა და მოსწავლეთა საგანმანათლებლო გაცვლით პროგრამებს.

2025 წელს კონკურსებისა და ოლიმპიადების ორგანიზებისთვის განკუთვნილია 850 000 ლარი. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა კონკურსის, ოლიმპიადის, საგანმანათლებლო-შემეცნებითი ღონისძიების ორგანიზება, 20 სასკოლო კლუბის და 20 სასკოლო ბიბლიოთეკის პროექტის დაფინანსება, 10 საზაფხულო ბანაკის ორგანიზება.

ინკლუზიური განათლება

ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს ინკლუზიური განათლება და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა მხარდაჭერა.

ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელებისას ხდება შესაბამისი მოთხოვნების გათვალისწინება და შენობების ადაპტირება; ყველა სფეროში, კონკურსებისა თუ სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვისას პრიორიტეტი ენიჭება პროექტების მხარდაჭერას, რომლებიც ორიენტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ინტეგრაციაზე, მათ ჩართულობაზე; სტუდენტთა დახმარების პროგრამაში ცალკე კატეგორიად გამოიყო განსაკუთრებული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სტუდენტების დაფინანსება.

ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა - ბათუმის N26 საჯარო სკოლის, დაბა ქედის საჯარო სკოლისა და ქობულეთის N3 საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების ცენტრები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა მხარდაჭერისა და გაძლიერების მიზნით, ინკლუზიურობისა და ხელმისაწვდომობის პრინციპების გათვალისწინებით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს ვთავაზობთ სკოლის შემდგომი პროგრამების მრავალფეროვან სპექტრს.

ინკლუზიური განათლების ცენტრების სპეციალიზებულ სექციებს შორის არის კერამიკის, გამოყენებითი ტექსტილისა და სახვითი ხელოვნების განყოფილებები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეების შემოქმედებითი გამოხატვისა და უნარების განვითარების შესაძლებლობებს.

ინკლუზიური განათლების ცენტრები ხელს უწყობს მოსწავლეების თვითრწმენის ამაღლებას, საზოგადოებაში მათ ინტეგრირებას, სასკოლო პროცესში ჩართულობის ამაღლებას, პროფესიულ თვითგამორკვევას და სკოლაში დადებითი კლიმატის შექმნას.

2024 წელს სსიპ - „ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის“, სსიპ -„თეიმურაზ ჯორბენაძის ქალაქ ქობულეთის N3 საჯარო სკოლის“, სსიპ - „ქალაქ ბათუმის N26 საჯარო სკოლისა“ და სსიპ - „ქალაქ ბათუმის N17 საჯარო სკოლის“ ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა, სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების მქონე საშუალოდ 96 მოსწავლეს გაეწია შესაბამისი მომსახურება.

2024 წელს განხორციელდა ბათუმის N26 საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების ცენტრის სრული რეაბილიტაცია და აღჭურვა ტექნოლოგიებით. 2025 წელს იგეგმება ანალოგიური ცენტრის მოწყობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეს საჯარო სკოლაში.

STEM (საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მიმართულება) განათლების კომპონენტის გაძლიერების მიზნით, ქ. ბათუმის N6 საჯარო სკოლასთან ერთად, გაძლიერებული ფიზიკა/მათემატიკის სწავლების კურსი შეთავაზებული იქნება სხვა საჯარო სკოლების მოსწავლეებისთვისაც.

მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მხარდაჭერა

პროგრამის - „ვასწავლოთ მომავალი წარმატებისთვის“ ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

- 2024 წლისათვის მაღალმთიანი აჭარის (ქედა, შუახევი, ხულო) საჯარო სკოლებში არსებული სხვადასხვა საგნის მასწავლებლის დეფიციტის შესავსებად დასაქმდა 18 პედაგოგი, რომლებზეც გაიცემა ყოველთვიური სახელფასო დანამატი. 2025 წელს დაგეგმილია 30 მასწავლებლის დასაქმება
- **პროექტი „ჩემს გაკვეთილზე“** ღონისძიების ფარგლებში დაფინანსდა 161 პროექტი ინოვაციური პროექტების ავტორი მასწავლებლების მხარდაჭერა გაგრძელდება 2025 წელსაც და მიმდინარე კონკურსის შედეგად შეირჩევა 100 პროექტი.
- **„საგნების გაძლიერებული სწავლების“** ფარგლებში გაფორმდა ხელშეკრულება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში გაძლიერებული სწავლება მიმდინარეობდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ინგლისურ ენასა და მათემატიკაში.

ეროვნული ჯილდოს მფლობელ წარმატებულ მასწავლებლებს გადაეცათ ერთჯერადი ფულადი ჯილდო. ქვეპროგრამის ფარგლებში, ასევე უცხოეთში კვალიფიკაცია აიმაღლა ორმა პედაგოგმა.

უწყვეტად გრძელდება მასწავლებლების, სკოლის ადმინისტრაციისა და სკოლის პერსონალის პროფესიული განვითარების მხარდაჭერა; აჭარის

განათლების ფონდის (ბათუმის მასწავლებელთა სახლის) მიერ ორგანიზებულ შესაბამის ტრენინგ-კურსებს ყოველწლიურად გადის 4 000-მდე ადამიანი და პროექტს სრულად აფინანსებს აჭარის მთავრობა; ყოველწლიურად საერთაშორისო სტაჟირებას გადის საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებების საგანთა 12 მასწავლებელი; ასევე, შვეიცარიაში, ქ. ჟენევაში არსებულ ევროპის ბირთვული კვლევების ცენტრში (CERN) სტაჟირებას გადის 4 ფიზიკის მასწავლებელი.

პროფესიული განათლება

საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით ბათუმში, განათლებისა და მეცნიერების ქალაქში 560 სტუდენტზე გათვლილი კოლეჯ „ბლექსის“ ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა გრძელდება. პროექტის ფარგლებში აშენდება ახალი სასწავლო კომპლექსი, სადაც განთავსდება თეორიული და პრაქტიკული აუდიტორიები, სტუდენტური სივრცე, შეხვედრების ოთახი, საკონფერენციო დარბაზი, ბიბლიოთეკა, არქივი, სპორტული დარბაზი. ამასთან, პროექტი 50 სტუდენტზე გათვლილ საერთო საცხოვრებლის მშენებლობასაც ითვალისწინებს. ინფრასტრუქტურული პროექტი, რომლის ღირებულება 17 179 515 ლარს შეადგენს, 2025 წელს დასრულდება.

კოლეჯ „ბლექსში“ დაგეგმილია სხვადასხვა მიმართულების 30 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, მათ შორის – სასტუმრო მომსახურება, კულინარიის ხელოვნება, კონდიტერია, სათავგადასავლო

ტურიზმი, მშენებლობის წარმოება, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება, პროგრამული უზრუნველყოფა, ტელეკომუნიკაცია, სამკერვალო წარმოება და სხვა.

დაფინანსდა 9 პროფესიული განათლების მასწავლებლის საერთაშორისო ღონისძიებაში მონაწილეობა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. ასევე, დაფინანსდა სსიპ კოლეჯი „ბლექსისა“ და სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღას“ მიერ ერთობლივად ორგანიზებული საერთაშორისო კონფერენცია პროფესიულ განათლებაზე.

2024 წელს ქობულეთის პროფესიული კოლეჯების 10 პედაგოგმა გაიარა პროფესიული განვითარების ტრენინგი და აიმაღლა კვალიფიკაცია. ანალოგიური პროექტების გაგრძელება იგეგმება 2025 წელსაც.

უმაღლესი განათლება

სტუდენტთა დახმარება - სტუდენტთა დახმარების პროგრამა ითვალისწინებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკრედიტებულ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების დაფინანსებას. დაფინანსება გაიცემა წლის განმავლობაში ორჯერ სემესტრში 1125 ლარის ოდენობით. პროგრამის ფარგლებში დაფინანსება გაიცემა სტუდენტებზე მაღალმთიანი აჭარიდან, სოციალურად დაუცველი ოჯახიდან, მრავალშვილიანი ოჯახიდან

და სხვ.

2024 წელს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სწავლება დაუფინანსდა 1086 სტუდენტს, ბიუჯეტი - 1 142 100 ლარი.

ასევე, სტუდენტთა მოტივაციის გაზრდის მიზნით დაფინანსდა 50%- 70% - 100% გრანტის მფლობელი 380 პირველი კურსის სტუდენტი. პროგრამის ფარგლებში, დაფინანსდა მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე 92 წარჩინებული სტუდენტი.

უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით ბათუმში მოქმედი სამი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისთვის იგეგმება საერთო საცხოვრებლის მშენებლობა. აშენდება 1000 სტუდენტზე გათვლილი საცხოვრებელი კამპუსი.

2025 წელს დაგეგმილია 1350 სტუდენტის სწავლის საფასურის დაფინანსება უმაღლესი განათლების საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე, ასევე დაგეგმილია 450 გრანტის მფლობელი პირველი კურსის სტუდენტის ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერა.

STEM (მეცნიერება, ტექნოლოგიები, ინჟინერია, მათემატიკა) და ჰუმანიტარული მიმართულებების ხელშეწყობა. ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მიმართულებების ხელშეწყობა - პროგრამით გათვალისწინებული ერთჯერადი ფინანსური დახმარება 1000 ლარის ოდენობით გაიცემა სტუდენტებზე, რომლებიც სწავლობენ საქართველოში ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური

უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე STEM (მეცნიერება, ტექნოლოგიები, ინჟინერია, მათემატიკა) მიმართულებით.

ტარიელ ფუტკარაძის სახელობის სტიპენდია - ასევე, ქვეპროგრამით გათვალისწინებული ერთჯერადი ფინანსური დახმარება 1000 ლარის ოდენობით გაიცემა სტუდენტებზე, რომლებიც სწავლობენ საქართველოში ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკრედიტებულ საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ქართველოლოგიის მიმართულებით. 2024 წელს პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 53 სტუდენტი. 2025 წელს პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია 60 სტუდენტის ფინანსური მხარდაჭერა.

ასევე, სიახლეა სასტიპენდიო პროგრამაში და იგეგმება 150 წარჩინებული სტუდენტისთვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო სტიპენდიის დაწესება.

სწავლა საზღვარგარეთ - პროგრამის მიზანია ახალგაზრდა და ნიჭიერი კადრების აკადემიური განვითარების ხელშეწყობა, საერთაშორისო კონტაქტების დამყარება და გამოცდილების შეძენა. ქვეპროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც ჩარიცხულია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გაერთიანებული სამეფოს, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ავსტრალიაში, იაპონიაში, შვეიცარიასა და ნორვეგიაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მეორე /მესამე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე. ასევე,

პირს რომელიც ჩარიცხულია პოსტ საბაკალავრო/პოსტ სამაგისტრო სახელოვნებო პროგრამაზე. 2024 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში გაიცა 39 სასწავლო გრანტი 731,5 ათასი ლარის ოდენობით.

საბაკალავრო პროგრამა - ქვეპროგრამაში მონაწილეობა შეუძლია პირს, რომელიც ისწავლის ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გაერთიანებული სამეფოს, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ავსტრალიაში, იაპონიაში, შვეიცარიასა და ნორვეგიაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პირველი საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთი სემესტრის მანძილზე და აქვს საქართველოში შესაბამისი უნივერსიტეტიდან თანხმობა სტუდენტის ერთი სემესტრით გაცვლის თაობაზე შემდგომში კრედიტების აღიარების და საქართველოში სწავლის გაგრძელების პირობით. 2024 წელს პროგრამის ფარგლებში გაიცა 47 სასწავლო გრანტი. 2025 წელს დაგეგმილია 50 სტუდენტის ფინანსური მხარდაჭერა საზღვარგარეთ უმაღლესი განათლების სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე, ასევე ბსუ-ს, საზღვაო აკადემიის და ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის 50 სტუდენტის ფინანსური მხარდაჭერა საზღვარგარეთ უმაღლესი განათლების საბაკალავრო საფეხურზე ერთი სემესტრის განმავლობაში.

სტაჟირება უცხოეთში - პროგრამა ითვალისწინებს პროფესიულ სტაჟირებას ევროპის ასამბლეის წევრ ქვეყნებში. 2024 წელს პროფესიულ სტაჟირებაზე 6 სტაჟიორი საქართველოდან გაემგზავრა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. 2025 წელს ქვეპროგრამის ბიუჯეტი 110 400 ლარია. ქვეპროგრამის ფარგლებში

დაგეგმილია 8 სტაჟიორის გაგზავნა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში და 8 სტაჟიორის მიღება აჭარაში.

2024 წელს, აჭარის რეგიონში ევროოდისეას შესახებ ინფორმაციის გავრცელებისა და პროგრამის ცნობადობის გაზრდის მიზნით, ბათუმში გაიმართა ევროპის რეგიონთა ასამბლეას გენერალური სხდომა/ფორუმი და პროგრამის საორგანიზაციო კომიტეტის წევრების შეხვედრა ევროოდისეას მონაწილე ქართველ და უცხოელ სტაჟიორებთან და სტაჟიორების მიმღებ დაწესებულებების წარმომადგენლებთან.

უმაღლესი განათლების ხელშეწყობა - პროგრამის ფარგლებში ფინანსდება კონფერენციების და სეზონური სკოლების ორგანიზება, სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნა, სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა.

2024 წელს დაფინანსდა 3 სეზონური სკოლის, 7 კონფერენციის ორგანიზება, 6 უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნა/ბეჭდვა.

ახალგაზრდა მეცნიერების მხარდაჭერა ფარგლებში დაფინანსდა 10 დოქტორანტის საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში (კონფერენცია, კონგრესი, ფორუმი, სიმპოზიუმი, სემინარი) მონაწილეობა და 2 სტუდენტის სტატიის გამოქვეყნება საერთაშორისო ჟურნალში.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საქმიანობის ხელშეწყობა

2025 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერის მიზნით პროგრამის ბიუჯეტი უპრეცედენტოდ გაიზარდა და 10 854 480 ლარს შეადგენს. აღნიშნული ბიუჯეტის ფარგლებში:

- მხარდაჭერილი იქნება სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, გაუმჯობესდება სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; დაფინანსდება აკადემიური პერსონალის, ახალგაზრდა მეცნიერების სამეცნიერო-კვლევითი პროექტები; მოხდება აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების ზრდა;
- გაუმჯობესდება ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სასწავლო- საგანმანათლებლო რესურსები;
- ხელი შეეწყობა სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში უმაღლესი განათლების განხორციელებისა და პროგრამების აკრედიტაციის პროცესს;
- ხელი შეეწყობა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში უმაღლესი განათლების განხორციელებას.

2024 წელს პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი პროექტები:

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ფარგლებში დაფინანსდა აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის, ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტისა და ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის საქმიანობა.

სასწავლო პრაქტიკის ხელშეწყობის ფარგლებში კი 41 სტუდენტმა უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებსა და მოწინავე კომპანიებში გაიარა სასწავლო პრაქტიკა.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია - საზღვაო აკადემიის ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა სტუდენტური სივრცის მოწყობა, საწვრთნელ აუზზე სამაშველო კანჯოს მოწყობა და ე.წ. ჭკვიანი დაფების შესყიდვა. გარდა ამისა, განხორციელდა კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვა. შეძენილ იქნა ლოჯისტიკის პროგრამული უზრუნველყოფა, GMSDD სიმულატორი, შრომის უსაფრთხოების, სახანძრო-სამაშველო, წყლის ხარისხის ტესტირების ლაბორატორიები. მოეწყო გემის ხიდურის საკლასო ოთახი.

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი - შეძენილი იქნა კომპიუტერები, ლაბორატორიებისთვის პრინტერები, დასრულდა სასწავლო თეატრის სცენის განათებითა და კონსტრუქციებით აღჭურვა.

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი - 2024 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა

უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების სამუშაოები.

კულტურა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გაყოფის შემდეგ, მიმდინარე წლის მარტიდან, ცალკე უწყებად ჩამოყალიბდა აჭარის კულტურის სამინისტრო. სამინისტროს პრიორიტეტია რეგიონის უნიკალური, თვითმყოფადი კულტურის შენარჩუნება და განვითარება, მულტიკულტურული გარემოს დაცვა, აჭარის კულტურული იდენტობის წარმოჩენა საერთაშორისო დონეზე, აჭარის ფოლკლორის ცენტრის დაფუძნება, ნიჭიერი და შემოქმედებითი ახალგაზრდების ხელშეწყობა, საპილოტე ექსპერიმენტული სკოლის კონცეფციის შემუშავება, აჭარის სიმფონიური ორკესტრის შექმნა, კულტურული ღონისძიებების ერთიანი კალენდრის ჩამოყალიბება, კულტურის დიპლომატიის განვითარება, მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში კულტურის ხელმისაწვდომობის გაზრდა, კულტურის აბონემენტის კონცეფციის შემუშავება.

აჭარის კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაშია ცხრა სსიპ-ი და ცხრა ა(ა)იპ-ი. კულტურის სამინისტრო აფინანსებს საერთაშორისო, რეგიონულ და ადგილობრივ ფესტივალებს, კონცერტებს, გამოფენებს, გასტროლებს, სახელოვნებო პროექტებს, თეატრალურ წარმოდგენებისა და კულტურის

სხვა ღონისძიებების ორგანიზებას. სამინისტროს მიერ ხდება ახალი ინდივიდუალური შემოქმედებითი პროექტების ხელშეწყობა, შემოქმედებითი პროექტების მხარდაჭერა.

კულტურის ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში, იგეგმება მაღალმთიან აჭარაში თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა, განხორციელდება სსიპ იუსუფ ზოიძის სახელობის ხულოს პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის საქმიანობის მხარდაჭერა.

ფოლკლორის პოპულარიზაციის მიზნით სამინისტრო ხელს შეუწყობს ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების, კონცერტების, სახალხო დღესასწაულების, გასტროლების და სხვა ღონისძიებების ორგანიზებას, მასტერკლასების ჩატარებას, სასცენო სამოსით და აქსესუარებით და მუსიკალური ინსტრუმენტებით ანსამბლების უზრუნველყოფას, სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლებისთვის ოლიმპიადების ხელშეწყობას

კულტურის სამინისტროს 2025 წლის ბიუჯეტი შეადგენს 43 მილიონ 522 ათას ლარს. კულტურის მიმართულებით 2025 წელს ჩატარდება 350-ზე მეტი კულტურული ღონისძიება სამინისტროს და საქვეუწყებო დაწესებულებების ორგანიზებით, 4000-ზე მეტი ადამიანის ჩართულობით.

კულტურის სამინისტროს მთავარ პრიორიტეტებშია ნიჭიერი და შემოქმედებითი ახალგაზრდა თაობის ხელშეწყობა და წარმოჩენა. ამისათვის

შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც საპილოტე ექსპერიმენტული სკოლის პერსპექტივას განიხილავს. სკოლის არსებობა გაზრდის სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობას და ზოგადად, სახელოვნებო ინდუსტრიის ახალ საფეხურზე გადაყვანას შეუწყობს ხელს.

კულტურის ახალგაზრდული პოლიტიკის მხარდაჭერა სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებში, მათი საერთაშორისო მნიშვნელობის მასტერკლასებსა და ვორქშოფებში მონაწილეობის ხელშეწყობა, ინოვაციური იდეების განხორციელების მხარდაჭერა სამინისტროს პროგრამებში სათანადოდ იქნება გათვალისწინებული.

აჭარის კულტურის სამინისტროს მთავარ მიზნად რჩება თვითმყოფადი ფოლკლორის მუდმივი ხელშეწყობა, განვითარება და პოპულარიზაცია. გაგრძელდება ტრადიციად ქცეული ფესტივალების, კონკურსებისა და საგრანტო პროგრამების, ინდივიდუალური შემოქმედებითი პროექტების განხორციელება.

დასრულდა აჭარის კულტურის სამინისტროს პროგრამის „კულტურის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი პროცესების მხარდაჭერა“ ფარგლებში გამოცხადებული საგრანტო კონკურსი. კომისიამ გამოავლინა 21 გამარჯვებული ფესტივალი. მათ განსახორციელებლად ჯამში, მილიონ ლარზე მეტია გათვალისწინებული.

ფესტივალები მთელი წლის განმავლობაში ჩატარდება როგორც ბათუმში,

ასევე აჭარის სხვა მუნიციპალიტეტებში და მოიცავს მრავალფეროვან კულტურულ ღონისძიებებს, რაც ხელს შეუწყობს, რეგიონში, კულტურული ტურიზმის გაძლიერებას.

ასევე, განხორციელდა "შემოქმედებითი პროექტების მხარდაჭერის საგრანტო კონკურსი", რომლის ფარგლებშიც დაფინანსდება 20-მდე პროექტი.

დასრულდა აჭარის კულტურის სამინისტროს პროგრამის – „ფოლკლორის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია" ოლიმპიადის შესარჩევი ტურები. მონაწილეობა მიიღო 70-ზე მეტმა ანსამბლმა და შემოქმედებითმა ჯგუფმა, ჯამში, 1,800-ზე მეტმა ახალგაზრდამ. გამარჯვებული ანსამბლები აღიჭურვებიან მუსიკალური ინსტრუმენტებითა და სამოსით.

ახალგაზრდა მწერლებისა და პოეტების მხარდაჭერის მიზნით, აჭარის მწერალთა სახლთან თანამშრომლობით, სამინისტრომ განახორციელა ახალგაზრდა შემოქმედთა ლიტერატურული კონკურსები ფრიდონ ხალვაშისა და ზურაბ გორგილაძის სახელობის სტიპენდიების მოსაპოვებლად.

ფრიდონ ხალვაშის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით სამინისტროს მხარდაჭერით მიმდინარე წელს გამოიცემა ფრიდონ ხალვაშის წიგნი "ომრი".

მნიშვნელოვანია სადღესასწაულო ტრადიციული ფესტივალების გაძლიერება და სახალხო პოეზიის მხარდაჭერა თვითგამოხატვისთვის.

2024 წელს კულტურის ღონისძიებების მასშტაბურობით მნიშვნელოვანი

წელი იყო. სამინისტროსა და სამინისტროს საქვეუწყებო ორგანიზაციების ორგანიზებით გაიმართა 300 - ზე მეტი მასშტაბური კულტურული ღონისძიება.

ფოლკლორის მიმართულებით 2024 წელს განხორციელდა 50-მდე პროექტი: სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადა, ოლიმპიადის გამარჯვებული ანსამბლების სასცენო სამოსით და აქსესუარებით უზრუნველყოფა, მასტერკლასები ხალხური ქორეოგრაფიის და სიმღერის მიმართულებით.

თანამედროვე ხელოვნება - 2024 წელს სამინისტროს მიერ კულტურის სხვადასხვა მიმართულების მხარდასაჭერად გაიცა 47 გრანტი, რითაც დაფინანსდა ფესტივალები, შემოქმედებითი პროექტები და დოკუმენტური ფილმები.

კულტურული ღონისძიებები ჩატარდა შემდეგი მიმართულებებით: სახელოვნებო განათლების, ინკლუზიური და ინტეგრირებული პროექტები, თეატრები და საშემსრულებლო ხელოვნება, მუზეუმები, მწერლობა, მხატვრობა, თეატრი, კინო, ანიმაციური კინო, კლასიკური და ტრადიციული მუსიკა, მხატვრობა, ლიტერატურა, თანამედროვე ხელოვნება.

2024 წელს არაფორმალური განათლების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა ,,სასკოლო დასების თეატრალური ფესტივალი ,,პირველი ავტოგრაფი".

2024 წელს დრამატულმა თეატრმა გამართა 19 სპექტაკლის, მათ შორის 9 პრემიერის ჩვენება 115-ჯერ, რასაც სულ დაესწრო 16 500 ადამიანი.
ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიულმა სახელმწიფო თეატრმა 2024 წელს გამართა 21 სპექტაკლის, მათ შორის 6 პრემიერის ჩვენება 120-ჯერ, რასაც სულ დაესწრო 14 160 ადამიანი. თეატრმა, სამინისტროს მხარდაჭერით, ორგანიზება გაუწია მნიშვნელოვან საერთაშორისო ფესტივალს თეატრალურ სფეროში, რომელიც უკვე მეორედ გაიმართა ბათუმში.

მაღალმთიან რეგიონში თეატრალური ხელოვნების განვითარების მხარდაჭერის მიზნით, 2024 წელს დაიწყო ახალი პროგრამის განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს სსიპ იუსუფ ზოიძის სახელობის ხულოს პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის საქმიანობის ხელშეწყობას.

საგრანტო პროექტები: კულტურისა და ხელოვნების ღონისძიებებზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით განხორციელდა „აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ჩასატარებელი ფესტივალების საგრანტო კონკურსი“, კონკურსის ფარგლებში 2024 წელს დაფინანსდა 15 ფესტივალი.

ახალგაზრდა ხელოვანთა მხარდაჭერის მიზნით განხორციელდა „ახალი შემოქმედებითი პროექტების მხარდაჭერის საგრანტო კონკურსი“, 2024 წელს დაფინანსდა 25 შემოქმედებითი პროექტი.

აჭარაში კინოხელოვნების განვითარების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა „დოკუმენტური ფილმების საგრანტო კონკურსი“, რომლის ფარგლებშიც 2024 წელს დაფინანსდა 6 დოკუმენტური ფილმი.

სახელოვნებო განათლება - სამინისტროს სისტემაში შემავალ 6 სახელოვნებო სკოლაში 2024 წლის მდგომარეობით სახელოვნებო განათლებას ეუფლებოდა საშუალოდ 3 000-მდე მოსწავლე. სკოლებში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს საშუალოდ 860-მდე თანამშრომელს.

2024 წელს გაგრძელდა სახელოვნებო სკოლების პედაგოგთა და ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურების ზრდის პოლიტიკა. რაც შეეხება ა(ა)იპ ქ. ბათუმის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეს, საგანმანათლებლო და სასწავლო შემეცნებით და სოციალურ პროექტებში ჩართული იყო საშუალოდ 5500-მდე ახალგაზრდა. 2024 წლის განმავლობაში სახელოვნებო განათლების დაფინანსებამ შეადგინა 8 041 300 ლარი.

სამუზეუმო საქმიანობა - აჭარის მუზეუმის სისტემაში შემავალ მუზეუმებს 2024 წლის განმავლობაში:

- ეწვია - 60 000-მდე ვიზიტორი;
- ჩატარდა - 1225 ექსკურსია;
- ჩატარდა - 549 საგანმანათლებლო პროგრამა
- გაიმართა - 149 ღონისძიება;

შემუშავდა 64 საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც პასუხობს

თანამედროვე სტანდარტებს (პროგრამები ინტერაქციულია, გამოყენებულია VR ტექნოლოგიები).

2024 წელს, აჭარის მუზეუმი წარმატებით ახორციელებდა საქმიანობას კულტურულ, საგანმანათლებლო და სამეცნიერო მიმართულებით. ჩატარდა არაერთი ღონისძიება, გამოფენა, აქტივობა და საგანმანათლებლო პროგრამა. 2024 წელი პრიორიტეტული იყო საერთაშორისო მიმართულებითაც, ჩატარდა მნიშვნელოვანი გამოფენა-ღონისძიებები როგორც ბათუმში, ასევე საქართველოს საზღვრებს გარეთ. განსაკუთრებით აღსანიშნავია, აჭარის მუზეუმის მონაწილეობა ისეთ მასშტაბურ გამოფენებში როგორიცაა **„ევროპალია“ - საქართველო შეხვედრების ადგილი“**, რომელიც გაიმართა ბელგიის სამეფოში, ბრიუსელის ხელოვნების სამეფო მუზეუმში, სადაც ცენტრალური ექსპოზიციის ნაწილი აჭარის მუზეუმის ექსპონატებს დაეთმო. 2024 წელსვე მოეწყო გამოფენა პოლონეთში, კრაკოვის ეროვნულ მუზეუმში სახელწოდებით - „ოქროს საწმისი - ქართული ხელოვნება“, ხოლო ივნისის თვეში აჭარის მუზეუმი ეთნოგრაფიული კუთხით წარმოდგენილი იყო უნგრეთშიც.

აღსანიშნავია, რომ 2024 წელს აჭარის მუზეუმი საერთაშორისო მუზეუმების საბჭოს ICOM-ის ინსტიტუციური წევრი გახდა, ამავე წელს მან მოიპოვა ევროპის მუზეუმების ქსელის NEMO-ს ინსტიტუციური წევრობაც.

განხორციელდა ბათუმის სულიკო ჟღენტის კინოს მუზეუმის ძირითადი

სარეკონსტრუქციო სარეაბილიტაციო სამუშაოები. ასევე 2024 წელს მუზეუმების ფონდები 583 ახალი ექსპონატით გამდიდრდა.

მწერლობა - აჭარის მწერალთა სახლი მრავალმხრივი პროექტებით ხელს უწყობს რეგიონში მწერლებსა და პოეტებს. აჭარის მწერალთა სახლთან თანამშრომლობით, სამინისტრომ ჩაატარა ახალგაზრდა შემოქმედთა ლიტერატურული კონკურსი ფრიდონ ხალვაშის სახელობის სტიპენდიის მოსაპოვებლად. კონკურსის ფარგლებში გამოვლინდა 4 გამარჯვებული, გაიცა სტიპენდიები.

სამინისტროს ხელშეწყობით, აჭარის მწერალთა სახლმა ორგანიზება გაუკეთა ფესტივალს ,,შემოდგომის სერენადა". ფესტივალის მიზანი ლიტერატურული ცხოვრების მხარდაჭერაა. ფესტივალი საერთაშორისო ხასიათის იყო და მასში 50-მდე მონაწილე გაერთიანდა.

კულტურული მემკვიდრეობა

აჭარის მთავრობა მიმართულია აჭარის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვასა და მუზეუმების/გალერეების მოდერნიზებაზე, ფოლკლორის და ხალხური შემოქმედების ხელშეწყობასა და პოპულარიზაციაზე. პრიორიტეტულია კულტურის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება,

ხელოვნების და კულტურის სფეროში პროფესიული დონის ამაღლება და კვალიფიციური კადრების მომზადება.

2024 წელი მნიშვნელოვანი და გამორჩეული იყო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციის მხრივ:

- გონიოსა და პეტრას არქეოლოგიურ არქიტექტურული კომპლექსის ტერიტორიაზე განხორციელდა სამუზეუმო სივრცეების განახლება და აჭარაში შეიქმნა ორი ახალი თანამედროვე სამუზეუმო სივრცე. ბიუჯეტი 750 000 ლარი
- დასრულდა პეტრას არქეოლოგიური უბნების საკონსერვაციო სამუშაოები და დაიწყო ვიზიტორებისათვის დამატებითი სამუზეუმო სივრცის შექმნა. აღნიშნულ სივრცეში განთავსდება პეტრას ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მოზაიკის ფრაგმენტები. ბიუჯეტი 450 000 ლარი;
- გაგრძელდა ხინოს ნაეკლესიარის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც 2025 წელს დასრულდება. ბიუჯეტი 750 000 ლარი.
- დაიწყო ბათუმის ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძრის რეაბილიტაციის მესამე ეტაპი, რომელიც მოიცავს ფასადების, ვიტრაჟებისა და ფერწერის რესტავრაცია-რეაბილიტაციას და დასრულდება 2025 წელს. სამუშაოების ბიუჯეტი 950 000 ლარი. საკათედრო ტაძრის რეაბილიტაცია პირველად 2022 წელს დაიწყო. ჯამურად საკათედრო ტაძარზე დაიხარჯება 1 500 000 ლარი.
- დაიწყო ქედის მუნიციპალიტეტში მდებარე ზვარესა და ძენწმანის ხის მეჩეთების რეაბილიტაცია და დასრულდება 2025 წელს. სარეაბილიტაციო

სამუშაოების ბიუჯეტი 650 000 ლარი;

- დაიწყო დაბა ჩაქვში ლაო ჯინ-ჯაოს საცხოვრებელი სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები და 2025 წელს დასრულდება, რომელშიც დაგეგმილია ჩაის კულტურის მუზეუმის გახსნა. პირველი ეტაპის სამუშაოების ღირებულება 900 000 ლარი;
- 2024 წელს შეძენილ იქნა 7 ავარიულ მდგომარეობაში მყოფი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი და მცირე რეაბილიტაცია ჩაუტარდა 9 ავარიულ მდგომარეობაში მყოფ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს. სულ აღნიშნული მიმართულებით დაიხარჯა 650 000 ლარი.

სპორტი

სპორტის განვითარება, სპორტსმენების მხარდაჭერა, ახალგაზრდებში სპორტის პოპულარიზაცია მთავრობის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდების ჩართულობა სპორტში წინა წლებთან შედარებით 55 %-ით გაიზარდა.

ფართომასშტაბიანი სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობის პარალელურად, იზრდება ფედერაციების დაფინანსების პროგრამები, დაწესებულია ჯილდოები და სტიპენდიები. რეგიონი ხშირად მასპინძლობს მნიშვნელოვან საერთაშორისო ჩემპიონატებს, რაც ჩვენს სპორტსმენებს ხელს უწყობს პროფესიულ ზრდაში.

2025 წელს გაიზარდა სპორტის სფეროს დაფინანსება. განათლებისა და სპორტის სამინისტროს მიმდინარე წლის ბიუჯეტში სპორტის სფეროს დაფინანსებისთვის 18 მილიონ ლარზე მეტია გათვალისწინებული.

2024 წელს აჭარის რეგიონიდან სპორტსმენებმა მოიპოვეს 326 მედალი. ასევე, 2025 წელს უკვე გვაქვს მნიშვნელოვანი წარმატებები სპორტის არაერთ სახეობაში.

სპორტის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

სპორტის სხვადასხვა სახეობაში ჩატარდა აჭარის ჩემპიონატები, სახელობითი/რესპუბლიკური ტურნირები და სასწავლო-სამწვრთნელო შეკრებები. ბათუმმა უმასპინძლა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სპორტულ დელეგაციას. ჩატარდა 95-მდე მაღალი დონის საერთაშორისო შეჯიბრება, მათ შორის WTT Youth Contender Batumi 2024“ მაგიდის ჩოგბურთში, კადეტთა მსოფლიო ჩემპიონატი 8, 10 და 12 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის ჭადრაკში, ბავშვთა საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში „ბათუმის თასი - 2024", ევროპის ჩემპიონატი ბილიარდში „თავისუფალი პირამიდა", საერთაშორისო ტურნირი „Batumi Open – 2024” კონტაქტურ კარატეში, ძიუდოში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი „შავი ზღვის თასი", ქართულ ჭიდაობაში ჩატარდა აბსოლუტური ფალავნობა, ჩატარდა ევროპის ლიგის B დივიზიონის მატჩები და საერთაშორისო სარეიტინგო ტურნირი ქვიშის

ფეხბურთში.

დაფინანსდა აჭარის ნაკრების სპორტსმენებისა და მწვრთნელების მონაწილეობა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირზე და საერთაშორისო შეკრებაზე. საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში: მხარდაჭერილია 36 სპორტული ფედერაცია, დაფინანსდა 550-მდე სპორტული ღონისძიება, ჩატარდა 2024 წლის შემაჯამებელი ღონისძიება, სადაც გამოვლინდნენ და დაჯილდოვდნენ წლის საუკეთესო სპორტსმენები, პარა-სპორტსმენები, მწვრთნელები, სპორტული ჟურნალისტები და სპორტის სფეროს წარმომადგენლები.

2024 წლის ერთჯერადი ფულადი ჯილდოს ქვეპროგრამის ბიუჯეტი 1 000 000 ლარს შეადგენდა.

დაფინანსდა აჭარაში მოქმედი 8 სპორტული ფედერაციის 80-მდე მასობრივი სპორტული ღონისძიება, მათ შორის პარა-ფესტივალი განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა შორის, სასკოლო სპორტული ოლიმპიადა აჭარის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებს შორის, სასკოლო ლიგა, სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის სპორტსმენთა და მოყვარულთა შორის პირველობები.

2025 წელს სპორტის დეპარტამენტის მიერ „სპორტის ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში ნაცვლად 6 ქვეპროგრამისა განხორციელდება 7 ქვეპროგრამა. ახალი ქვეპროგრამის „ახალგაზრდებში სპორტის

პოპულარიზაცია და მასტერკლასები" მიზანია ახალი უნარების სწავლა და პრაქტიკული უნარების გაზიარება. მასტერკლასში მონაწილეები მიიღებენ პრაქტიკულ რჩევებს და სტრატეგიებს, რომლებიც დაეხმარებათ მათ კარიერულ განვითარებაში.

- გაიზარდა სპორტული ფედერაციების ყოველწლიური დაფინანსება და სპორტის დეპარტამენტის ფინანსური მხარდაჭერით დაფინანსდება 43 სპორტული ფედერაცია.
- ბათუმში ჩატარდება ევროპის ჩემპიონატი და საერთაშორისო ტურნირი ბილიარდში, ევროპის გუნდური ჩემპიონატი და მსოფლიო თასი ჭადრაკში, საერთაშორისო ტურნირი „შავი ზღვის თასი" ძიუდოში, Batumi Open – 2024" კონტაქტურ კარატეში, მსოფლიო ახალგაზრდული სერიები (wtt youth contender Batumi 2025) მაგიდის ჩოგბურთში, საერთაშორისო ტურნირი - „ბათუმის თასი 2025" ფეხბურთში, ევროპის ლიგის A დივიზიონის გათამაშება ქვიშის ფეხბურთში.
- გაგრძელდება ერთჯერადი ფულადი ჯილდოების ქვეპროგრამა.
- გაგრძელდება აჭარის ნაკრები გუნდების წევრთა და მათ პირად მწვრთნელთა სასტიპენდიო ქვეპროგრამა, რომლის ბენეფიციართა წრეც გაფართოვდა.
- სრულად დაინერგება ელექტრონული სისტემა, რაც მიზნად ისახავს სპორტულ ფედერაციებთან გამჭვირვალე და მოქნილი მუშაობის დამკვიდრებას, ელექტრონული პორტალი ფედერაციებს მისცემს

შესაძლებლობას დოკუმენტაცია წარმოადგინონ ელექტრონულად, დაიძლევა მანძილის და დროის პრობლემა.

- მასობრივი სპორტის განვითარების ფარგლებში გაიმართება მნიშვნელოვანი ტურნირები, ფესტივალები, სასკოლო და საუნივერსიტეტო ჩემპიონატები, პარა-ფესტივალები და გასანკუთრებული საჭიროების მქონე პირთა შორის გაიმართება სხვადასხვა სპორტული აქტივობა.

ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი

ახალგაზრდების მხარდაჭერის, კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიული ზრდის, გართობისა და დასვენებისთვის ჯანსაღი გარემოს შექმნის, საერთაშორისო და მოხალისეობრივი საქმიანობისა და გამოცდილების მიღების, შესაძლებლობებისა და ინტერესების რეალიზების ხელშეწყობის მიზნით 2024 წელს ჩატარდა 60-მდე ღონისძიება.

ახალგაზრდების ინტელექტუალური, კულტურული და კარიერული განვითარების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ჯამში ჩაერთო 10 000-ზე მეტი ახალგაზრდა. ბიუჯეტი - 1 408 367 ათასი ლარი.

ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის მიერ განხორციელებული პროექტები ორიენტირებულია ახალგაზრდების კარიერული და პროფესიული განვითარების, ახალგაზრდული ინიციატივების ხელშეწყობისა და მათი მხარდაჭერისკენ.

ახალგაზრდობის რეგიონულმა ცენტრის 2024-2025 წლებში დაიგეგმა და განხორციელდა არაერთი კულტურული ღონისძიება, დაფინანსდა საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში ახალგაზრდების მონაწილეობა. ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა ლაშქრობები, ფესტივალები, შემეცნებითი ტურები, ეკო ბანაკები, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე და სხვა.

2025 წელს დაგეგმილი ღონისძიებები - მიმდინარე წელს ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი ზრდის ახალგაზრდების ხელმისაწვდომობას მათ მიერ შეთავაზებულ სერვისებზე, განსაკუთრებით მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში, რისთვისაც იმართება პროგრამების პრეზენტაციები მუნიციპალიტეტებში, აგრეთვე საჯარო და კერძო სასწავლებლებში.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური პოლიტიკა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის პრიორიტეტს წარმოადგენს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა, სოციალური უზრუნველყოფა, სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა.

აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი პროექტები თავისი შინაარსითა და მოცულობით ორიენტირებულია სოციალურად დაუცველ მოქალაქეებზე და დაავადების მაღალი რისკის ჯგუფებზე. პროგრამების მიზანია, რეგიონის მოსახლეობის მკურნალობასთან

დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა და იმ სამედიცინო მომსახურების დაფინანსება, რომელიც არ იფარება მოქმედი სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით.

მოსახლეობის მომართვიანობის, მოთხოვნების, ასევე, წინა წლებში მოქმედი პროგრამების შესრულებისა და სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინებით, ყოველწლიურად იგეგმება დამატებით სხვადასხვა სამედიცინო თუ სოციალური სერვისების დაფინანსება.

აჭარაში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება ყოველწლიურად მზარდია. 2024-2025 წლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბიუჯეტის ზრდასთან ერთად, გაფართოვდა და დაემატა ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და დასაქმების პროგრამები, მიზნობრივი ჯგუფებისათვის გაუმჯობესდა სერვისებზე ფინანსური ხელმისაწვდომობა.

აჭარაში, 2024-2025 წლებში, სოციალური პროექტებისა და ჯანდაცვის პროგრამების მხრივ, მნიშვნელოვანი სიახლეები განხორციელდა. მოსახლეობას ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის და დასაქმების მიმართულებით 90 946 ბენეფიციარს სხვადასხვა სახის სერვისი მიეწოდა:

- ჯანმრთელობის დაცვა - 38 322 მოქალაქე;
- სოციალური დაცვა - 10 981 მოქალაქე;

- დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა - 24 450 მოქალაქე;
- დასაქმების ხელშეწყობა - 17 193 მოქალაქე.

სამინისტროს პროგრამებით სარგებლობენ სხვადასხვა სოციალური სტატუსის მქონე მოქალაქეები:

- განსაკუთრებული საჭიროების სტატუსის მქონე პირები;
- სოციალურად დაუცველი ოჯახები 0-დან 200 000-მდე სარეიტინგო ქულით;
- ავთვისებიანი სიმსივნის დიაგნოზის მქონე პირები;
- ასაკით პენსიონერი;
- სტიქიური მოვლენებისა და კატასტროფების შედეგად დაზარალებულები;
- ომის ვეტერანები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები;
- ჩერნობილში დაზარალებულები;
- პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირები;
- უსახლკაროები, უსახლკაროთა თავშესაფრის კონტინგენტი;
- მრავალშვილიანი ოჯახები;
- მარტოხელა მშობელი, არასრულწლოვანი შვილები;
- ტრეფიკინგისა და ძალადობის მსხვერპლი პირები;
- ბავშვები, რომლებიც საჭიროებენ სარეაბილიტაციო სერვისებს;
- საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები და სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი 18 წლამდე ბავშვები;
- ეკომიგრანტი ოჯახები და სხვა.

- ასევე მოქალაქეები, რომელთაც არ აქვთ გარკვეული სოციალური სტატუსი და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა მოითხოვს ძვირადღირებული სამედიცინო მომსახურების ჩატარებას.

2024 წელს, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბიუჯეტი 2023 წელთან წელთან შედარებით, 13 მილიონ 005 500 ლარით, 21 %ით გაიზარდა და 61 მილიონ 255 000 ლარს შეადგენდა. გასულ წელს უწყების ფინანსური დოკუმენტი 99,5 % -ით შესრულდა.

მნიშვნელოვანი პროგრამული სიახლეები:

- 30%-ით გაიზარდა ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურების პროგრამის ბიუჯეტი, ხოლო თითოეული პაციენტების დაფინანსების წლიური ლიმიტი 50 000 ლარამდე.
- გულის დაავადებების ძვირადღირებული სადიაგნოსტიკო კვლევები (გულის ან/და კორონალური არტერიების გეგმური ანგიოგრაფია, ენდოკარდიული ელექტროფიზიოლოგიური კვლევა, კარდიოვერსია და სხვა.) სრულად ფინანსდება.
- დაიწყო გენეტიკური დაავადების მქონე, 18 წლამდე ასაკის ბავშვების გენურ პროფილირებასთან დაკავშირებული კვლევების დაფინანსება.

- უშვილობის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროგრამას, ბენეფიციარებად დაემატა სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების პერსონალი.
- დაიწყო ორგანოთა ტრანსპლანტაციის შემდგომი აუცილებელი კვლევების და თირკმლის ტრანსპლანტაციის შემთხვევაში დონორისა და რეციპიენტის თავსებადობის განსაზღვრის საჭირო კვლევების დაფინანსება.
- დაიწყო განსაკუთრებული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 30 წლამდე 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე პირებისთვის სტომატოლოგიური სამედიცინო მომსახურების დაფინანსება.
- დაიწყო ახალი პროგრამის განხორციელება "აჭარის მაღალმთიანი სოფლის მოსახლეობისა და მემთეურთა ავადობის კვლევა".
- გაიზარდა სოფლის ექიმებისა და ექთნების დანამატი. აჭარის ჯანდაცვის სამინისტრო ექიმებს დანამატის სახით 400 ლარს, მედდებს 250 ლარს ურიცხავს.
- ამოქმედდება ახალი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს 120 000-დან 150 000 ქულამდე სოციალურად დაუცველ ოჯახებში 16 წლამდე ასაკის ბავშვების ფინანსურ დახმარებას.
- გაიზარდა 100 წელს გადაცილებული მოქალაქეების, ასევე, ახალშობილი ტყუპების ოჯახების მატერიალური დახმარება.
- „2008 წლის რუსული აგრესიისა და ავღანეთის სამშვიდობო მისიის (2007-2021 წწ) დროს დაღუპული და დაზიანების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მეომართა ოჯახების

დახმარება“ - პროგრამის ფარგლებში, გაიზარდა პროგრამის ბიუჯეტი, ბენეფიციარებისთვის გასაცემი თანხის მოცულობა და მოსარგებლე პირთა არეალი.

- 50 000 ლარამდე გაიზარდა ეკომიგრანტი ოჯახების თანადაფინანსების წილი.

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2025 წლის ბიუჯეტი

2025 წლის ბიუჯეტი გასული წლის ბიუჯეტთან მიმართებაში 19 მილიონ 245 000 ლარით გაიზარდა და 80 მილიონ 500 000 ლარს შეადგენს. ბიუჯეტის ზრდამ გასულ წელთან შედარებით, შეადგინა 23.9%.

2025 წელს ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით მნიშვნელოვანი სიახლეები განხორციელდა:

- დაიწყო ფილტვის ტრანსპლანტაციის დაფინანსება;
- გულის მძიმე დაავადების მქონე პაციენტებისთვის გულის სარქვლის ტრანსკათეტერული იმპლანტაციის (TAVI) დაფინანსება;
- განსაკუთრებული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მშობელთა და ორსულთა ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამის ფარგლებში, თანხა 2 000 ლარის ოდენობით გაიცემა 3 წლამდე ასაკის ბავშვის (ნაცვლად ერთ წლამდე ასაკის ბავშვისა) განსაკუთრებული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მშობელზე და განსაკუთრებული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ორსულზე (22 კვირისა და მეტი

ვადის ორსულობა), ასევე, ამავე ჰესტაციის ვადის მქონე ორსულის კანონიერ ქორწინებაში მყოფ მეუღლეზე, რომელსაც მინიჭებული აქვს განსაკუთრებული შესაძლებლობის სტატუსი;

- გარკვეული პროგრამების ბენეფიციარებს, რომელთა წლიური შემოსავალი 40 000 ლარი და მეტია, 3 000 ლარზე მეტი ღირებულების სამედიცინო მომსახურებას 70 %-ით უფინანსდებათ;
- თარგენტული, იმუნოთერაპიული და ბისფოსფონატების ჯგუფის მედიკამენტების დაფინანსება გაიზარდა - 70 000 ლარამდე.

2024-2025 წლებში ტრანსპლანტაციები ჩაუტარდა 42 პაციენტს.

მათ შორის:

- ღვიძლის გადანერგვა - 13 პაციენტს;
- ძვლის ტვინის გადანერგვა - 29 პაციენტს.

2025 წელს სამინისტრო საქვეუწყებო დაწესებულებებთან ერთად ახორციელებს 38 პროგრამას.

გულის ქირურგიის დამატებითი სამედიცინო მომსახურება - ბიუჯეტი 4 500 000 ლარი

2022 წლის 1 ნოემბრიდან აჭარაში საყოველთაო ჯანდაცვის და აჭარის ჯანდაცვის პროგრამებით კარდიოქირურგია სრულად ფინანსდება. პროგრამით ხორციელდება კარდიოქირურგიული მომსახურება, რომელიც

არ ფინანსდება სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით. ასევე, იფარება ოპერაციების თანაგადახდა და გულის დაავადებების ძვირადღირებული სადიაგნოსტიკო კვლევები.

2025 წელს დაიწყო გულის მძიმე დაავადების მქონე პაციენტებისთვის გულის სარქვლის ტრანსკათეტერული ძვირადღირებული იმპლანტაციის (TAVI) დაფინანსება.

მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება - ბიუჯეტი 11 500 000 ლარი

პროგრამის ფარგლებში, ხორციელდება განსაზღვრული სოციალური კატეგორიის მოსახლეობისათვის სხვადასხვა სამედიცინო მომსახურების დაფინანსება, რომელიც ვერ იფარება მოქმედი სახელმწიფო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებით. მათ შორის:

- ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების სტაციონარული მომსახურება
- თვალის ბადურის მძიმე დაავადებების მკურნალობა
- ღვიძლისა და ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია
- გაფანტული სკლეროზის, რევმატოიდული ართრიტის მძიმე ფორმის, იდიოპათიური მაანკილოზებელი სპონდილიტის, სხვა ავტოიმუნური რევმატული დაავადებების, ფსორიაზის და ფსორიაზული ართრიტის მკურნალობა ძვირადღირებული მედიკამენტებით და სხვა.

სახსრების ენდოპროთეზირება - ბიუჯეტი 1 200 000 ლარი

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სახსრების ენდოპროთეზირების დაფინანსება 8000 ლარის ფარგლებში.

ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევები - 4 000 000 ლარი

ფინანსდება: კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია, პოზიტრონ-ემისიური კომპიუტერულ ტომოგრაფიული კვლევა (PET/CT)

ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურება - 10 710 000 ლარი

ფინანსდება:

- სამედიცინო მომსახურება, რომელიც საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით არ ფინანსდება
- თარგენტული, იმუნოთერაპიული, ბისფოსფონატების ჯგუფის მედიკამენტები 70 000 ლარის ფარგლებში
- ძუძუს კიბოს სამკურნალო ძვირადღირებული მედიკამენტები
- ავთვისებიანი სიმსივნის კომპლექსური გენური პროფილირება
- საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით დაფინანსებული გეგმური და თრგენტული ქირურგიული სამედიცინო მომსახურების თანაგადახდა სრულად.

ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება - 3 349 000 ლარი

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის გეგმური და გადაუდებელი ქირურგიული სამედიცინო მომსახურების და ინტენსიური თერაპიის თანაგადახდის დაფარვა, DRG მეთოდით განსაზღვრული საბაზისო ღირებულების ფარგლებში.

მოზრდილი მოსახლეობის სამედიცინო რეაბილიტაცია -1 900 000 ლარი

პროგრამის ფარგლებში თითოეულ პაციენტს მულტიდისციპლინალური გუნდის მიერ სამედიცინო მომსახურებისათვის ინდივიდუალურად შემუშავებული გეგმის მიხედვით მიეწოდება კომპლექსური სერვისი - ფიზიკური თერაპევტის, რეაბილიტოლოგის, ფსიქოლოგის, ფსიქიატრის, ლოგოპედის, შრომითი თერაპევტის, ოკუპაციური თერაპევტის და სხვა საჭირო სპეციალისტების მომსახურება.

მოსახლეობის საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსება - 4 მილიონ 445 000 ლარი

პაციენტების საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების დაფინანსება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ პაციენტისათვის აუცილებელი

სამედიცინო მომსახურება ვერ ხერხდება საქართველოს სამკურნალო პროფილაქტიკურ დაწესებულებებში. რაც დასტურდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი ექსპერტების მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე. ასევე, იფარება ძვლის ტვინის, გულისა და ფილტვის ტრანსპლანტაციის ხარჯი

უშვილობის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის დაფინანსება - 1 500 000 ლარი

პროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ - 300 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველი და განსაკუთრებული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები, საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში დასაქმებული პირები, რომლებიც არანაკლებ 6 თვის განმავლობაში იმყოფებიან კანონიერ ქორწინებაში და რომელთაც შვილის ყოლის მიზნით ესაჭიროებათ შესაბამისი რეპროდუქციული სამედიცინო დახმარების გაწევა.

სოფლის სამედიცინო პერსონალის დამატებითი შრომითი ანაზღაურება - 927 960 ლარი

მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულოს), ხელვაჩაურის და ქობულეთის სოფლის ექიმებისთვის გამოიყოფა – 440 ლარი, სოფლის ექთნებისათვის 275 ლარი.

ჟანგბადის კონცენტრატორებით უზრუნველყოფა - 223 500 ლარი

ოჯახის/სოფლის ექიმების ტექნიკური მხარდაჭერის მიზნით, პირველადი ჯანდაცვისა და ა(ა)იპ ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრებისათვის, ჟანგბადის კონცენტრატორების გადაცემა მოწყვლადი ჯგუფებისათვის სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად.

სოციალური დაცვა

სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია - ბიუჯეტი 6 684 800 ლარი

ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია/რეაბილიტაცია

ცერებრალური დამბლის, ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის, კუნთების სხვადასხვა დაავადებების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის კურსების დაფინანსება.

ძვალ-სახსროვანი სისტემის დეფორმაციის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია

ძვალ-სახსროვანის სისტემის სხვადასხვა დეფორმაციის მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსების დაფინანსება.

ბავშვთა ადრეული განვითარება

განვითარების დარღვევის ან ასეთი რისკის მქონე ბავშვების განვითარების სტიმულირება და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა.

აუტიზმის სპექტრის დარღვევების მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია

აუტიზმის სპექტრის დარღვევების მქონე 2-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების რეაბილიტაციის კურსების დაფინანსება.

მოსახლეობის გარკვეული სოციალური კატეგორიების ერთჯერადი მატერიალური დახმარება - ბიუჯეტი - 5 011 400 ლარი

- **100 წელს გადაცილებული მოქალაქეების ერთჯერადი დახმარება** - თითოეულზე 1 500 ლარის ოდენობით
- **ახალშობილი ტყუპების ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება** - ტყუპისცალზე -1500 ლარის ოდენობით.
- **მზრუნველობამოკლებულ პირთა რეინტეგრაციის ხელშეწყობა** - მზრუნველობამოკლებულ (სახელმწიფო მზრუნველობის შეწყვეტის შემდეგ) პირთა მატერიალური მხარდაჭერა, თითოეულ ბენეფიციარზე 15 ლარი დღეში, ხოლო განსაკუთრებული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბენეფიციარისათვის - 30 ლარი
- **2008 წლის რუსული აგრესიისა და ავღანეთის სამშვიდობო მისიის (2007-2021წწ) დროს დაღუპული და დაზიანების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მეომართა ოჯახების დახმარება - მატერიალური დახმარება გაეწევა საომარი მოქმედებების დროს დაღუპული/ დაზიანების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მეომრების ოჯახებს:**
    - დედისა და ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მატერიალური დახმარება გაეწევა დედებსა და მეუღლეებს

თითოეულს 5000 ლარის ოდენობით.

- აგვისტოს თვეში ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწევა მეომრების ოჯახებს თითოეულს 10 000 ლარის ოდენობით.

- **განსაკუთრებული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მშობელთა და ორსულთა ერთჯერადი მატერიალური დახმარება** - 2 000 ლარის ოდენობით გაიცემა სამ წლამდე ასაკის ბავშვის განსაკუთრებული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მშობლებსა და განსაკუთრებული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ორსულ ქალებზე (22 კვირისა და მეტი ვადის ორსულობა), ასევე, ამავე ჰესტაციის ვადის მქონე ორსულის კანონიერ ქორწინებაში მყოფ მეუღლეზე, რომელსაც მინიჭებული აქვს განსაკუთრებული შესაძლებლობის სტატუსი.

- **სოციალურად დაუცველი ოჯახების მატერიალური დახმარება** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მატერიალური დახმარება 200 ლარის ოდენობით ყოველთვიურად. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ოჯახი, რომლის შემადგენლობაში არის 16 წლამდე ასაკის ერთი წევრი მაინც და სარეიტინგო ქულაა 120 0001 და მეტია, მაგრამ ნაკლებია 150 001 ქულაზე.

- **განსაკუთრებული საჭიროების სტატუსის მქონე პირთა და ხანდაზმულთა უზრუნველყოფა დამხმარე საშუალებებით - ბიუჯეტი - 1 318 200 ლარი.** სხვადასხვა დამხმარე/მოვლის საშუალებათა საჭიროების მქონე პირთა, მათ შორის ხანგრძლივად მოავადე, იძულებითი წოლითი რეჟიმის (ნევროლოგიური, ონკოლოგიური და

სხვა პროფილის დაავადებები) პაციენტების მოვლისა და რეაბილიტაციის საშუალებებით უზრუნველყოფა

- **მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების თავშესაფრით უზრუნველყოფა - ბიუჯეტი - 4 795 370;**

- **დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა** - სხვადასხვა პრობლემების მქონე (მარტოხელა, მიუსაფარი, ძალადობაგანცდილი) დედათა და ბავშვთა თავშესაფრით, კვებით, პირადი ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფა, მათი ფსიქოლოგიური დახმარება, სოციალური უნარ-ჩვევების სწავლება.

- **ფსიქიკური პრობლემების მქონე გერიატრიული პაციენტების თავშესაფრით უზრუნველყოფა** - ფსიქიკური პრობლემების მქონე გერიატრიული პაციენტების თავშესაფრით, კვებით, პირადი ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფა, რეაბილიტაცია, მათი და ოჯახის წევრების ფსიქოლოგიური დახმარება.

- **ფსიქიკური აშლილობის მქონე განსაკუთრებული შესაძლებლობის პირთა საცხოვრისით უზრუნველყოფა** - ფსიქიკური აშლილობის მქონე განსაკუთრებული შესაძლებლობის პირთა უზრუნველყოფა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსებით დაკომპლექტებული საცხოვრისით, კვებით, პირადი ჰიგიენის ნივთებით, მათი ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია, სოციალური მხარდაჭერა და თემში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

საზოგადოებრივი ჯანდაცვა

2024 წლის აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ბიუჯეტი შეადგენდა 2 მილიონ 501 420 ლარს, შესრულებამ შეადგინა 94.5 %.

2024 წელს და 2025 წლის პირველ კვარტალში განხორციელებული პროგრამები:

- მენჯ-ბარძაყის სახსრის დიპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის ადრეული დიაგნოსტიკა - ისარგებლა 2 096 ბენეფიციარმა;
- ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევა ორსულებში - ისარგებლა 4 046 ორსულმა;
- სმენის თანდაყოლილი პათოლოგიის მეორეული დიაგნოსტიკა - ისარგებლა 30 ბენეფიციარმა;
- ბრონქული ასთმის დიაგნოსტიკა სამიზნე ჯგუფში - ისარგებლა 450 ბენეფიციარმა;
- აუტიზმის დიაგნოსტიკა სამიზნე ჯგუფში - ისარგებლა 444 ბენეფიციარმა;
- C ჰეპატიტის, ტუბერკულოზის, აივ ინფექციის აქტიური გამოვლენის ხელშეწყობა - ისარგებლა 13 026 ბენეფიციარმა;
- ორსულ და ლაქტაციის პერიოდში მყოფ ქალებში ტყვიის შემცველობის განსაზღვრა - ისარგებლა 228 ბენეფიციარმა;
- მშობელთა სკოლა ორსულთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობისათვის ღონისძიებით - ისარგებლა 1 307-მა ორსულმა;

- სპორტსმენ ბავშვთა კარდიული სკრინინგი - ისარგებლა 1 199 ბავშვმა.

2024 წლის სიახლე:

- აჭარის მაღალმთიანი სოფლის მოსახლეობისა და მემთეურთა ავადობის კვლევა - რომლის ფარგლებშიც, აპრილი-აგვისტოს პერიოდში, განხორციელდა 18 ვიზიტი სხვადასხვა პროფილის ექიმთა გუნდის მიერ, ისარგებლა 722 ბენეფიციარმა.
- ახალშობილთა მეტაბოლური სკრინინგი - მეტაბოლური დარღვევების დროული აღმოჩენისა და განვითარების დარღვევების შეუქცევადი პროცესების თავიდან აცილების მიზნით, პროგრამა ითვალისწინებს 0-1 თვის ასაკის ახალშობილებში 47 მეტაბოლურ-გენეტიკურ დაავადებაზე სკრინინგს. 2024 წელს ისარგებლა 2 000 ახალშობილმა.

2025 წელს დაემატა ახალი პროგრამები:

- „NIPS არაინვაზიური პრენატალური სკრინინგი“, რომლის ფარგლებში განხორციელდება ორსულობის მე-10 კვირიდან რისკ-ჯგუფს მიკუთვნებული ქალებისათვის უსაფრთხო არაინვაზიური მეთოდით ნაყოფის გენეტიკური ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის დადგენას, ისარგებლა - 200 ქალმა.
- „ოსტეოპოროზის პრევენციული სკრინინგი“- ოსტეოპენიის ადრეულ ეტაპზე გამოვლენისა და ოსტეოპოროზის განვითარების თავიდან აცილების მიზნით რისკ-ჯგუფს მიკუთვნებული პირებისათვის დენსიტომეტრიული კვლევის ჩატარება.

- „ცელიაკიის სკრინინგი ბავშვებში“- ცელიაკიის ადრეულ ეტაპზე გამოვლენისა და გართულებების თავიდან აცილების მიზნით ცელიაკიის სკრინინგი 2-18 წლის ასაკის ბავშვებში, რომელთა შერჩევა მოხდება შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით. ბენეფიციარი -500 ბავშვი.

ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა

აჭარის მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ეკომიგრანტი ოჯახების დახმარება. ამ მიზნით ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შექმნილია სპეციალური პროგრამა, რომლის საშუალებით, 2024 წლიდან - დღემდე, თანადაფინანსებით საცხოვრებელი ფართი **214-მა ეკომიგრანტმა ოჯახმა (891 პირმა) შეიძინა.**

2025 პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 7 740 000 ლარს, 2025 წელს დაგეგმილია ჯამში 150 საცხოვრებელი ფართის შეძენა.

2025 წლიდან, ბენეფიციარს საშუალება აქვს პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული თანხით, შეისყიდოს საცხოვრებელი ფართი ან საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე შესაბამისი მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული მშენებლობის ნებართვის საფუძველზე ააშენოს საცხოვრებელი სახლი ან დაწყებული მშენებლობა დაასრულოს. პროგრამა ამოქმედდა 2016 წელს, ჯამში შესყიდულია 934 საცხოვრებელი ფართი, გამოიყო 30 999 942 ლარი.

რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

2024 – 2025 წწ. რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან, სტიქიისა და ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების დასახმარებლად გამოიყო 6 180 377 ლარი, ფინანსური დახმარება გაეწია 848 ოჯახს.

2024 – 2025 წწ. რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიმართულებით გამოყო 11 441 135 ლარი, ისარგებლა 3 727 მოქალაქემ.

დასაქმების სააგენტო

2024 წლის აჭარის დასაქმების სააგენტოს ბიუჯეტი შეადგენდა 1 301 409 ლარს, ბიუჯეტი შესრულდა 99%-ით.

სააგენტოს პროგრამებში 2024 წელს რეფერირდა 321 პირი, რომელიც მოიცავს პროფესიულ მომზადებას, გადამზადებას, პრაქტიკული უნარების გაუმჯობესებას, არაფორმალური განათლების აღიარებას, სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობას, საზღვაო სფეროში დასაქმების ხელშეწყობას, ციფრული უნარების განვითარებას და სამუშაო იარაღებით უზრუნველყოფას.

აჭარის დასაქმების სააგენტოს საშუამავლო მომსახურების შედეგად 2024 წელს 1314 ადამიანი დასაქმდა. გასულ წელთან შედარებით 25% გაზრდილია

დასაქმების მაჩვენებელი. აღსანიშნავია, რომ დასაქმებულთა 54% -ზე მეტი დასაქმდა გრძელვადიანად.

2025 წლის სააგენტოს ბიუჯეტი შეადგენს 1 965 888 ლარს. გასულ წელთან შედარებით ბიუჯეტი გაზრდილია 51%-ით. სააგენტო მიმდინარე წელს დასაქმების ხელშეწყობის უზრუნველყოფის ფარგლებში ახორციელებს 9 ქვეპროგრამას.

განხორციელდება ახალი პროგრამა „საკვანძო კომპეტენციების განვითარება", რომელიც ითვალისწინებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ტერიტორიის ფარგლებში სხვადასხვა სექტორში დასაქმებულთათვის და მათთვის ვისაც სურს ამ მიმართულებებით ღია ბაზარზე დაიმკვიდრონ) მულტილინგვური და პროფესიული კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობას. პროგრამის ფარგლებში მომსახურებას მიიღებს 150 მოსარგებლე.

სამედიცინო ინფრასტრუქტურული პროექტები აჭარაში

აჭარის მთავრობამ დაიწყო მასშტაბური სამედიცინო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. მიმდინარეობს 2 მნიშვნელოვანი დაწესებულების და რესპუბლიკური საავადმყოფოს ბავშვთა განყოფილების შენობის მშენებლობა.

კერძოდ, ახალი შენობა შენდება ქ. ბათუმის N1 პოლიკლინიკისთვის. დაწესებულება ამჟამად პაციენტებს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის

ფარგლებში ამბულატორიულ სერვისებს აწოდებს. შენობა მოძველებულია და არ აკმაყოფილებს ამბულატორიული დაწესებულებისათვის დადგენილ სტანდარტებს. პოლიკლინიკისთვის ახალი შენობა ამჟამინდელი დაწესებულების მიმდებარედ შენდება. შედეგად 50 000-ზე მეტი პაციენტი სამედიცინო მომსახურებას თანამედროვე, განახლებულ გარემოში მიიღებს.

მიმდინარეობს სამედიცინო ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და განახლების პროცესი. განხორციელდება საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ბათუმის ცენტრის ადგილმონაცვლეობა. სასწრაფო დახმარების სამსახური სამომავლოდ N1 პირველი პოლიკლინიკის მსგავსად რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარედ განთავსდება. შედეგად გაუმჯობესდება 160-მდე დასაქმებულის სამუშაო პირობები და მომსახურების ხარისხი. გამოიყოფა ავტოპარკისთვის და სამედიცინო ბრიგადებისთვის საჭირო სივრცეები.

საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრების ახალი შენობების მშენებლობა ადგილობრივი მუნიციპალიტეტების თვითმმართველობების მხარდაჭერით უკვე დასრულებულია ხულოს, შუახევისა, ქედის და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში.

ბათუმის რესპუბლიკურ-კლინიკური საავადმყოფო აგრძელებს სერვისების გაფართოებას. კლინიკას 50 საწოლზე გათვლილი პედიატრიული დეპარტამენტი 2023 წელს დაემატა, თუმცა მაღალი მომართვიანობის გათვალისწინებით საჭირო გახდა საწოლ ფონდის დამატება. დაიწყო

დამატებითი სივრცის მშენებლობა. საავადმყოფოში ხელმისაწვდომია შემდეგი პედიატრიული მიმართულებები: ბავშვთა გადაუდებელი დახმარება, ზოგადი პედიატრია, რეანიმაცია, კარდიორევმატოლოგია, ნეფროლოგია, ალერგოლოგია, ნევროლოგია, ტოქსიკოლოგია, ბავშვთა ინფექციები, ზოგადი ქირურგია, ყბა-სახის ქირურგია, ორთოპედია-ტრავმატოლოგია და სხვა.

2024 წელს ხულოს მუნიციპალიტეტში დიალიზის სერვისი ამოქმედდა. სამედიცინო დაწესებულება, დიალიზისთვის საჭირო აპარატურით სრულად აღიჭურვა.

სოფლის მეურნეობა

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2024 წლის ბიუჯეტი გასულ წელთან შედარებით - 3 273 628 ლარით გაიზარდა და 32 014 578 ლარი შეადგინა.

სამინისტრომ, 2024 წელს აგროსექტორის მდგრადი განვითარების, ადგილობრივი წარმოების პროდუქციის პოპულარიზაციის, აგრარული ექსტენციის მიწოდების, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის, აგროსერვისის განვითარების, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, ტყის მდგრადი მართვის მიმართულებით რეგიონის სოფლად მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებაზე ორიენტირებული

პროგრამები განახორციელა, რომლის მიზანი იყო სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების, საოჯახო მეურნეობებისა და მეწარმე სუბიექტების განვითარების ხელშეწყობა, პროდუქციის მწარმოებელთა ეფექტიანობისა და მდგრადობის ამაღლება, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა, ასევე ტყის მდგრადი მართვა.

2024 წელს სამინისტროს პროგრამები და ქვეპროგრამები 3 ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებით განხორციელდა კერძოდ:

- სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომი განვითარება - 20 236 752 ლარი;
- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა - 4 157 382 ლარი;
- ტყის მდგრადი მართვა - 7 620 444 ლარი;

აღნიშნულ პრიორიტეტებს, სამინისტროს აპარატი და მის სისტემაში შემავალი ორგანიზაციები ახორციელებენ, რომლის ფარგლებშიც დაიგეგმა და განხორციელდა - **16 პროგრამა და 12 ქვეპროგრამა.**

„სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობის“ ფარგლებში განხორციელდა - 4 343 პროექტი, რომლის თანადაფინანსება - 4 159 193 ლარი შეადგინა.

პროგრამის „აგროსექტორის მდგრადი განვითარება“ ქვეპროგრამის „აგრარული ექსტენციის მიწოდება“ ბიუჯეტმა - 256 749 ლარი შეადგინა, რომლის ფარგლებშიც ექსტენცია მიეწოდა 4 772 ფერმერსა და აგრომეწარმეს.

აგროსერვის ცენტრი

2024 წელს „აგროსერვის ცენტრის“ მიერ განახორციელა 5 პროგრამა და 4 ქვეპროგრამა. ქვეპროგრამის **„აგრო - მომსახურების განვითარების ხელშეწყობა“** ფარგლებში 2024 წელს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოსახლეობის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული - 2 ათას 280 ჰა-ზე მეტი სახნავ - სათესი ნაკვეთების უსასყიდლოდ დამუშავება განხორციელდა, რომლის ბიუჯეტმა - 1 251 206 ლარი შეადგინა.

ქვეპროგრამის **„ციტრუსის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობა“** ფარგლებში - 3 485 748 ლარი დაიხარჯა. ქვეპროგრამის ფარგლებში სულ ჯამში - 11 296 349 ტონა სამრეწველო მანდარინის სუბსიდირება განხორციელდა, მათ შორის, 2024 - 2025 წლებში ციტრუსის სეზონზე გადამამუშავებელი კომპანიების მიერ ფიზიკური პირიდან ყოველ 1 კგ არანაკლებ 0.35 ლარად შესყიდულ არასტანდარტულ მანდარინზე გაიცა სუბსიდია 1 კგ-ზე 0.30 ლარის ოდენობით.

ასევე, სეზონზე საექსპორტო მანდარინს მიღებას 20-ზე მეტი მიმღებ-დამხარისხებელი საწარმო ახორციელებდა. ამასთან, სეზონზე ქვეყნიდან ექსპორტირებულია - 18 904 346 აშშ დოლარის ღირებულების - 32 512 ტონა მანდარინი, რომლის საშუალო საექსპორტო ფასი 1კგ-ზე 0,58 აშშ დოლარს შეადგენდა.

სამელიორაციო ინფრასტრუქტურის განვითარების, სარწყავი და სადრენაჟე სისტემის რეკონსტრუქციის მიმართულებით, 2024 წელს - 1 491 269 ლარი დაიხარჯა, რომლის ფარგლებში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩაუტარდა

ქედისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში - 8 სარწყავ და დამშრობ არხს. აღნიშნული არხებით მოირწყო მოსახლეობის საკუთრებაში არსებული 523 ჰექტარი ფართობის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

2024 წელს, 105 მეფუტკრე ფერმერზე, თანადაფინანსებით გაცემულია - 2 ათასი ერთეული სკა, რომლის ფარგლებში დაიხარჯა - 346 500 ლარი.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ 2024 წელს განხორციელდა 4 პროგრამა და 1 ქვეპროგრამა. ბათუმში ე.წ. ახალი ბულვარის მიმდებარე მონაკვეთზე, ზღვის სანაპირო ზოლის ხელოვნური კვება განხორციელდა. ბიუჯეტი - 1 364 710 ლარით განისაზღვრა. ჩატარდა ჩამდინარე, ზედაპირული წყლის და ატმოსფერული ჰაერის - 342 სინჯის ანალიზი, 2024 წლის, ქვეპროგრამის ბიუჯეტმა - 53 418 ლარი შეადგინა.
სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს მიერ 2024 წელს განხორციელდა 3 პროგრამა და 4 ქვეპროგრამა.

ქვეპროგრამის **„სატყეო - სამეურნეო ინფრასტრუქტურის გამართვა“** ბიუჯეტი - 1 444 340 ლარით განისაზღვრა. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ახალი - 33,52 კმ ახალი სატყეო სამეურნეო დანიშნულების გზის მშენებლობა და 183 კმ. არსებული სატყეო სამეურნეო დანიშნულების გზის შეკეთება.

2024 წელს, **სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი“** ახორციელებს პროგრამას „ლაბორატორიული კვლევითი საქმიანობის მდგრადი განვითარების მხარდაჭერა“, რომლის ბიუჯეტი - 1 258 354 ლარი განისაზღვრა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სსიპ „ლაბორატორიული

კვლევითი ცენტრი"-ის მიერ განხორციელდა სასმელი, ზედაპირული, ჩამდინარე, ზღვის, აუზებისა და წყალსატევების წყლის, მცენარეული და ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტების, ცხოველის საკვების ნიმუშებზე 11 ათას 125 კვლევა. აქედან პროგრამის ფარგლებში - 2 ათას 500 კვლევა (ნიადაგი - 853 კვლევა, წყალი - 400 კვლევა და მავნებელი დაავადებები 1 ათას 247 კვლევა).

2025 წლის აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტი გასულ წელთან შედარებით - 4 805 972 ლარით გაიზარდა და 36 820 550 ლარს შეადგენს, რომელიც მოიცავს 16 პროგრამას და 13 ქვეპროგრამას მოიცავს.

აჭარის მთავრობის მხარდაჭერით, სამინისტრო 2025 წელს აგრძელებს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამებსა და ქვეპროგრამებს, რომლის ფარგლებშიც დაფინანსდება არანაკლებ - 2 500 პროექტი, ბიუჯეტი - 4 544 308 ლარი.

აგრარული ექსტენციის მიწოდების ფარგლებში, მთელი წლის განმავლობაში სხვადასხვა დარგობრივი მიმართულებების მიხედვით რეგიონის არანაკლებ - 4 200 ფერმერსა და აგრომეწარმეს ჩაუტარდება შესაბამისი სწავლება - კონსულტირება, რომლის ბიუჯეტი - 342 000 ლარით განისაზღვრა.

„აგროსერვის ცენტრის" პროგრამის ფარგლებში გრძელდება ადგილობრივი მოსახლეობის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების უსასყიდლოდ დამუშავების ღონისძიება, რომლის ფარგლებში ჯამში დამუშავდება - 2 438 სახნავ - სათესი მიწის ნაკვეთები.